პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
5 მაისი
1939 წ.
№ 101 (5501)
ფასი 10 კაპ.

პრესა—ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის, პარტიისათვის საჭირო ენაზე. სხვა საშუალებანი სულიერი ძაფების გაბმისა პარტიასა და კლასს შორის, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს.

ი. სტალინი

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე

5 მაისი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციული დღეა.

პარტია და საბჭოთა ხალხი ამ დღესასწაულს ყოველწლიურად უდიდესი ზეიმით აღნიშნავენ, როგორც უმნიშვნელოვანეს თარიღს ბოლშევიზმის ისტორიაში.

1912 წელს 5 მაისს ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდა ჩვენი სახელოვანი იდეური მედროშის — ცენტრალური პარტიული ყოველდღიური ლეგალური გაზეთის — „პრავდის" პირველი ნომერი.

ცარიზმის ბატონობის მრისხანე წლებში, როდესაც რუსეთში ბარბაროსულად იდევნებოდა თავისუფალი აზრი და სიტყვა, როდესაც რუსეთში აზვირთებას იწყებდა რევოლუციური მოძრაობის ტალღა, ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთის გამოსვლა უდიდეს ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა. ახალი ტიპის პარტიის გენიალურ მშენებლებს მთელი სიღრმით ესმოდათ ბეჭდვითი სიტყვის დამრაზმავი როლი.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის განთიადზე იძლეოდა ბოლშევიკური გაზეთის როლის ღრმა კლასიკურ განსაზღვრას.

„ჩვენის აზრით,—სწერდა ლენინი გაზ. „ისკრაში" 1901 წელს,—მუშაობის გამოსავალ წერტილად, პირველ პრაქტიკულ ნაბიჯად სასურველი ორგანიზაციის შექმნისათვის, დასასრულ, მთავარ ძაფად, რომლის გაყოლებით ჩვენ შევძლებთ ამ ორგანიზაციის განუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოვებას, უნდა მივიჩნიოთ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსება... ახლა ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ შევქმნათ კიდეც ტრიბუნა მეფის მთავრობის საყოველთაო-სახალხო მხილებისათვის; ასეთი ტრიბუნა უნდა იქნეს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი"...

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა იზრდებოდა და იწრთობოდა ლენინ-სტალინის პარტიასთან ერთად, როგორც მისი უძლიერესი იარაღი. ლენინური „ისკრის" სახელოვან ტრადიციებზე გაიზარდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა, იგი გადაიქცა უდიდეს ძალად. „პრესა — ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის, პარტიისათვის საჭირო ენაზე. სხვა საშუალებანი სულიერი ძაფების გაბმისა პარტიასა და კლასს შორის, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს". (ი. სტალინი).

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლებში, ცარიზმზე გადამწყვეტი შეტევის წინ ლენინურ-სტალინური „პრავდა" რაზმავდა და გაბედულად მოუწოდებდა მშრომელთა ფართო მასებს დიადი სოციალისტური რევოლუციისაკენ. სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც საბჭოების ნორჩი რესპუბლიკა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელ გენერალთა ბრბოების რკალში იყო, „პრავდა" მოუწოდებდა ფრონტებზე სოციალისტური სამშობლოს დაცვისაკენ.

სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში, შემდეგ, სტალინური ხუთწლედების წლებში „პრავდა" როგორც მთელი ბოლშევიკურ ბეჭდვითი სიტყვის მედროშე — იძლეოდა სოციალისტური მრეწველობისათვის მასების დარაზმვის შესანიშნავ მაგალითებს.

მუშათა კლასის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში პარტია უფრო ამახვილებდა თავის იარაღს. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა, აღზრდილი ლენინური „ისკრის", სტალინური „ბრძოლის" და ლენინურ-სტალინური „პრავდის" სახელოვან ტრადიციებზე, დაუნდობლად ამხელდა და ანადგურებდა პარტიის საზიზღარ მტრებს, სოციალისტური სამშობლოს სისხლით მოვაჭრეებს, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნაბოლარებს. უკანასკნელ წლებში უდიდესი მუშაობა ჩატარდა ბოლშევიკურ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ახალი უნარიანი კადრების დაწინაურების ხაზით, გაზეთებში სამუშაოდ მოვიდნენ ასეულათასობით ახალი ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულნი. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად გაიწმინდა ყოველგვარი უწმინდურობისაგან ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებიც.

წელს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს აღვნიშნავთ ისტორიულ ვითარებაში, მაშინ როდესაც პარტია, საბჭოთა ხალხი შეიარაღებულია ახალი ყოვლისმძლე იარაღით — დიდი სტალინის ბრძნული და უბადლო მოხსენებით, რომელიც წარმოადგენს საგზურს კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის წინაშე. კოლოსალური მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც უნდა განვახორციელოთ უახლოეს პერიოდში, ეს არის სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანა. არასოდეს ასე გაზრდილი და პასუხსაგები არ ყოფილა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის როლი, როგორც ახლა. ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას, ჩვენ ძირითად ეკონომიურ ამოცანად დავისახეთ დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურადაც, რათა უფრო ბარაქიანი და უძლეველი გავხადოთ სოციალიზმის ბედნიერი ქვეყანა.

საქმე ეხება ისევ და ისევ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი იდეების დაუღალავ პროპაგანდას, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კომუნისტურად აღზრდას, მათს დარაზმვას მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად.

ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ ლენინის გენიალური მითითება იმის შესახებ, რომ „გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტო იდეების გავრცელებით, პოლიტიკური აღზრდით და პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვებით. გაზეთი არ არის მხოლოდ კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, ის აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორიც არის".

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გ-წ. 14 ნოემბრის დადგენილებაში პარტიული პროპაგანდის შესახებ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბეჭდვითი პროპაგანდის როლს, „მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში,—ნათქვამია ც. კ-ის დადგენილებაში,—მთავარ გადამწყვეტ იარაღს უნდა წარმოადგენდეს ბეჭდვითი სიტყვა—ჟურნალები, გაზეთები, ბროშურები, ხოლო სიტყვიერ პროპაგანდას უნდა ეჭიროს დამხმარე ხელშემწყობი ადგილი". განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი გაზეთის ფურცლებზე პროპაგანდის **ხარისხს.**

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი **სტალინი** შეეხო რა პარტიულ პროპაგანდის საკითხებს ბღნიშნა, რომ საჭიროა „...მთავარი ყურადღება მიექცეს პრესაში პროპაგანდის გაშლას და პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციას".

ერთერთი მოხსენების გეგმის ხელთნაწერში ლენინი, განსაზღვრავს რა ბოლშევიკური აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ამოცანებს, გამოსთქვამს შემდეგ გენიალურ აზრს:

„მარქსიზმის მაქსიმუმი=პოპულარობისა და სისადავის მაქსიმუმს". მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სწერო და პროპაგანდა აწარმოო მაქსიმალურად პოპულარულად და სადად, თუ დაეუფლები მარქსიზმის მაქსიმუმს.

ვაჯამებთ რა განვლილ გზას, უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიული პროპაგანდის ხაზით ჩვენ გადავდგით მხოლოდ პირველი ნაბიჯები, გასაკეთებელი კი უფრო ბევრია. თეორიული სტატიები, კონსულტაციები, პასუხები შეკითხვებზე, რამაც კოლოსალური დახმარება უნდა გაუწიოს მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების დამოუკიდებლად შემსწავლელთ, — სისტემატურად უნდა თავსდებოდეს გაზეთის ფურცლებზე. ამის საუკეთესო მაგალითებს გვაძლევს „პრავდა", რომელიც გაბედულად აყენებს თეორიულ საკითხებს.

გაზეთის გარშემო მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტების და თეორიული ფრონტის საუკეთესო მუშაკების შემოკრება საშუალებას მოგვცემს კიდევ ახალ საფეხურზე ავიყვანოთ პარტიული პროპაგანდა, უფრო კონკრეტული დახმარება გაუწიოთ ჩვენს კადრებს რევოლუციური თეორიის დაუფლების საქმეში.

ჩვენი მუშაობის საყოველთაო-სახალხო დათვალიერების დღეს, ჩვენ ერთხელ კიდევ გულდასმით შევამოწმებთ განვლილ მუშაობას და დავსახავთ ახალ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა ავიყვანოთ იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც აყენებს ლენინ-სტალინის პარტია მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, ბოლშევიკური პრესის წინაშე.

5 მაისს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) საქართველოს. კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი იწვევს

პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო - საქალაქო კრებას, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილს ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი.

დღის წესრიგი:

„ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით".

მომხსენებელი ამხ. ვ. გრიგორიანი.

შესვლა საშვები ბარათებით, რომლებსაც ანაწილებენ პარტიის რაიკომები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი.

ამხ. კოკინაკი და გორდიენკო ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 3 მაისი (საკდესი). ამერიკის მთელი პრესა კვლავ დიდ ინტერესს იჩენს ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს გმირული გადაფრენისადმი. გაზეთები ათავსებენ მფრინავთა ფოტოგრაფიულ სურათებსა და სხვადასხვა ინფორმაციას ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს ნიუ-იორკში ყოფნის შესახებ. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ თვითმფრინავ „მოსკოვის" ოსტატურად დაშვებას მისკოუს კუნძულზე. „საიენს სერვისის" მეცნიერული ბიულეტენი აღნიშნავს, რომ თვითმფრინავ „მოსკოვის" გადაფრენა საბჭოთა ავიაციის დიდ შესაძლებლობას მოწმობსო.

გუშინ ამხ. კოკინაკი და გორდიენკო მიიღო ქალაქ ნიუ-იორკის მერმა ლა გარდიამ, რომელიც მიესალმა მათ მუნიციპალიტეტის სახელით. როგორც ამერიკის არმიის ყოფილმა მფრინავმა, ლა გარდიამ თავისი აღტაცება გამოსთქვა ამ გადაფრენის გამო და დაინტერესდა მისი მრავალი წვრილმანით.

საუბარი ამხ. კოკინაკისთან

ნიუ-იორკი, 4 მაისი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. კოკინაკიმ რწმენა გამოსთქვა, რომ ჩრდილოეთის გზა, რომლითაც იგი გადაფრინდა, ყველაზე უფრო მოსალოდნელი საჰაერო გზა იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის. „გადაფრენამ, — განაცხადა ამხ. კოკინაკიმ, — დაგვანახვა, რომ შესაძლებელია ამ გზის პრაქტიკული გამოყენება. მაგრამ, სანამ მის რეგულარულ კომერციულ ექსპლოატაციას შევუდგებოდეთ, საჭიროა დეტალურად შესწავლილ იქნას ამ ტრასის, მეტეოროლოგიური პირობები, განსაკუთრებით კი საჰაერო დინებანი დიდ სიმაღლეზე. ამ გზის უპირატესობა ის არის, რომ იგი უაღრესად მოკლეა და შეიძლება დაიყოს შედარებით მცირე უბნებად. ჩვენმა გადაფრენამ დაგვანახვა, რომ შესაძლებელია განხორციელდეს რეგულარული მიმოსვლა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის".

კანადის გაზეთი ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს გაფრენის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 მაისი (საკდესი). კანადის გაზეთი „დეილი კლერიონი" კომენტარიას უკეთებს ამხ. კოკინაკისა და გორდიენკოს გადაფრენას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ გადაფრენამ ცხადჰყო შესაძლებლობა კავშირის დამყარებისა ჩრდილოამერიკასა და მოსკოვს შუა 24 საათის განმავლობაში.

„ლუმანიტე" 1938 წელს

პარიზი, 4 მაისი (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გაზეთი „ლუმანიტე" აქვეყნებს თავისი გამომცემლობის 1938 წლის ანგარიშს. გაზეთს წლის განმავლობაში დაახლოებით 100 ათასი ფრანკი შემოსავალი ჰქონდა. ეს, როგორც ანგარიში აღნიშნავს, იმით აიხსნება, რომ „ლუმანიტეს" მრავალრიცხოვანმა მოხალისე გამავრცელებლებმა უდიდესი აქტივობა გამოიჩინეს. ისინი არ ცდილობდნენ პირადი სარგებლობა ენახათ გაზეთის გავრცელების დროს. გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი საშუალოდ 400 ათასს ცალს შეადგენდა. „ლუმანიტე" ერთერთი ყველაზე გავრცელებული გაზეთია საფრანგეთში.

საპირველმაისო ფურცლები გერმანიაში

ანტიფაშისტური გაზეთი „დოიჩე ფოლკსცაიტუნგი" იუწყება, რომ გერმანიაში 1 მაისის წინა დღით დიდძალი ანტიფაშისტური ფურცლები გაავრცელეს. მაგალითად, ბერლინის ერთ საწარმოში გაავრცელეს ფურცელი, სადაც ნათქვამი იყო: „ხელი შეუშალეთ შეიარაღებას, სადაც კი შეგიძლიათ. მხოლოდ ფაშიზმის დამხობა უზრუნველჰყოფს ჩვენთვის მშვიდობიანობას. გაუმარჯოს რვასაათიან სამუშაო დღეს! საზეგანაკვეთო მუშაობის არცერთი წუთი ომისათვის!".

ჩრდილო გერმანიის ერთ ნავსადგურში მუშებმა ერთხელ, როდესაც ისინი სამუშაოზე გამოცხადდნენ, თავიანთ ხელსაწყოების შესანახ ყუთებში ნახეს პატარა ფურცელი:

„ჩვენი საპირველმაისო ლოზუნგია—ყოველი საშუალებით ხელი შევუშალოთ ომს, — ამით ჩვენ ვიხსნით გერმანიას".

ანტიფაშისტური ფურცლები გაავრცელეს აგრეთვე ბაზრებში. ერთერთ ასეთ ფურცელში ნათქვამი იყო: „შექმენით სახალხო ფრონტი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ! დაეხმარეთ ჩეხიისა და ავსტრიის დაჩაგრულ ხალხებს".

4 მაისი.



ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი გაზ. „პრავდის" რედაქციაში 1917 წელს.

ნახ. მხატვარ ვასილიევის.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

26 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიკუთვნების სიგელი და ლენინის ორდენი გადაეცა პოლკოვნიკ ამხ. ე. მ. ნიკოლაენკოს, რომელიც დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და გმირობის გამოჩენისათვის.

ორდენები და მედლები გადაეცა წითელი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, სიმამაცისა და გმირობისათვის, რაც მათ ხასანის ტბის რაიონის დაცვის დროს გამოიჩინეს.

ჯილდოები გადაეცა აგრეთვე პოლკოვნიკებს ამხ. პ. ა. შკოდინს და ვ. ა. ივანოვს, პოლკის კომისარს ამხ. ვ. მ. კაპალკინს, მაიორს ამხ. ა. ბ. სალოვის და სხვებს.

ჯილდოები გადაეცა როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდ ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან სოფლის მეურნეობაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და განსაკუთრებით მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ორდენები და მედლები ეძლევათ საფეიქრო მრეწველობის სტახანოველებს.

ორდენები ეძლევათ აგრეთვე გემსაშენი მრეწველობის იმ მუშაკთა ჯგუფს, რომელნიც დაჯილდოებული არიან.

ორდენი ეძლევა სსრ კავშირის სახალხო არტისტს ამხ. ე. პ. კორჩაგინა - ალექსანდროვსკაიას, რომელიც დაჯილდოებულია შესანიშნავი არტისტული მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდების მიკუთვნების სიგელი ეძლევა ამხ. ვ. ა. მიჩურინა-სამოილოვას. ჯილდოები ეძლევათ აგრეთვე ლენინგრადის თეატრების არტისტებს ამხ. ბ. ი. კოჩარიოვას და ა. პ. ნელიდოვს.

ამხ. მ. ი. კალინინმა გულითადად მიულოცა ყველა ამხანაგს ჯილდოს მიღება და უსურვა მათ ახალი წარმატება მუშაობაში. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის კანდიდატთა პირველი სიები. დამტკიცებულია 1.451 კანდიდატი. მათ შორის 202 კოლმეურნეობა, 167 საკოლმეურნეო ბრიგადა, 17 საბჭოთა მეურნეობა, 451 სტახანოველი-მეაბრეშუმე, 84 სპეციალისტი, 141 სოფლის მეურნეობის მოწინავე, მათ რიცხვში 73 ჩაის მწვანე ფოთლის მკრეფავი სტახანოველი ქალი, 3 კომბაინერი, 211 ტრაქტორისტი, მოწინავე მწველავი ქალი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მონადირენი და სხვ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე

3 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე გრძელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის მიერ სასამართლო კოლეგიების განაჩენებზე შეტანილი პროტესტების განხილვა. პლენუმმა მიიღო დადგენილება სასამართლოს პრაქტიკის შესახებ ხულიგნობის საქმეებზე. ენერგიული და გადამწყვეტი ბრძოლა ბოროტ ხულიგნობასთან, რომელიც ძირს უთხრის სოციალისტურ მართლწესრიგს, მომავალშიაც სოციალისტური მართლმსაჯულების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა შეადგენდეს. მაგრამ სასამართლოებმა ამასთანავე არ უნდა დაუშვან თავიანთ პრაქტიკაში იმ მოქმედებათა დაუსაბუთებელი კვალიფიკაცია ხულიგნობის შესახებ არსებული მუხლების მიხედვით, რომელნიც არ შეიცავენ სისხლის სამართლის კოდექსთა ამ მუხლებით გათვალისწინებულ ნიშნებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის ყოველგვარი დარღვევა არ უნდა იდევნებოდეს სისხლის სამართლის წესით. მცირემნიშვნელოვანი მოქმედება უნდა გადაიჭრას ან ადმინისტრაციული წესით, ან საზოგადოებრივ - საამხანაგო სასამართლოებში.

სასამართლოები ხშირად ხულიგნობად სთვლიან პიროვნების მიმართ ჩადენილ დანაშაულს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოებს მითითება მისცა არ დაუშვან ეს ამიერიდან, თუ ეს დანაშაული ჩადენილი არ არის თავხედობით და არ წარმოადგენს საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გამოხატულებას. (საკდესი).

№ 115 ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ახალი მაღალხარისხოვანი თვითმფრინავების შექმნის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია № 115 ქარხნის 42 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: იულიან ივანეს-ძე პიონტკოვსკი — მფრინავი - გამომცდელი, ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ხრომოვი — დურგალი, ანდრია ივანეს-ძე იასტრებოვი — მთავარი ინჟინერი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 7 კაცი, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით — 7 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით — 10 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 8 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 7 კაცი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. მ. კირეევისა, ა. გ. რუდაკოვის, პ. ვ. ფედოტოვის, ი. ა. ბალაშოვის, პ. ა. ლოსკუტოვისა და სხვათა დაჯილდოების შესახებ

სპეციალური დავალების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

„წითელი დროშის" ორდენით

1. ივანე მაქსიმეს-ძე **კირეევი,**
2. ალექსანდრე გრიგოლის-ძე **რუდაკოვი,**
3. პეტრე ვასილის-ძე **ფედოტოვი.**

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით

1. ივანე ალექსანდრეს-ძე **ბალაშოვი,**
2. პეტრე ალექსის-ძე **ლოსკუტოვი,**
3. ილია დიმიტრის-ძე **სომნიკოვი.**

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. ილარიონ ავქსენტის-ძე **გაგუა,**
2. ვლადიმერ მათეს-ძე **მალკოვი,**
3. იაკობ ნაუმის-ძე **მატუსოვი,**
4. ლეონიდე თედორეს-ძე **რაიხმანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 29 აპრილი.

ქრონიკა

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის ბრძანებით მორიგი სამხედრო წოდება მიენიჭა მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდეგ მეთაურებს:

ჩრდილოეთის ფლოტის სარდალს პირველი რანგის კაპიტანს **ვ. პ. დროზდს** — მე-2 რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალებით მომარაგების სამმართველოს უფროსს დივიზიის მეთაურს **ი. ს. მუშნოვს** — კორპუსის მეთაურის სახელწოდება.

მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის მომარაგების სამმართველოს უფროსს დივიზიის მეთაურს **ს. ი. ვორობიევს** — კორპუსის მეთაურის სახელწოდება.

წყნარი ოკეანის ფლოტის სამხედრო საბჭოს წევრს პოლკის კომისარს **ს. ე. ზახაროვს** — დივიზიის კომისრის სახელწოდება. (საკდესი).

○

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მორიგი სამხედრო სახელწოდება მიანიჭოს:

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს **მე-2 რანგის** ფლაგმანს **ნ. გ. კუზნეცოვს** — ფლოტის **მე-2 რანგის** ფლაგმანის სახელწოდება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის პირველ მოადგილეს 1-ლი რანგის ფლაგმანს **ი. ს. ისაკოვს** — ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილეს კორპუსის კომისარს **ი. ვ. როგოვს** — არმიის მე-2 რანგის კომისრის სახელწოდება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილეს მე-2 რანგის ფლაგმანს **გ. ი. ლევჩენკოს** — 1-ლი რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალს მე-2 რანგის ფლაგმანს **ი ს. იუმაშევს** — 1-ლი რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

შავი ზღვის ფლოტის სარდალს მე2 რანგის ფლაგმანს **ფ. ს. ოქტიაბრსკის** — 1-ლი რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიის სამეთაურო ფაკულტეტის უფროსს მე-2 რანგის ფლაგმანს **ს. პ. სტავიცკის**— 1-ლი რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიის უფროსის მოადგილის მოვალეობის აღმსრულებელს სასწავლო და სამეცნიერო დარგში მე-2 რანგის ფლაგმანს **გ. ა. სტეპანოვს** — 1-ლი რანგის ფლაგმანის სახელწოდება.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო აკადემიის საარტილერიო ფაკულტეტის იარაღის ტაქტიკურ თვისებათა კათედრის უფროსს მე-2 რანგის ფლაგმანს **ლ. გ. გონჩაროვს** — 1-ლი რანგის ფლაგმანის სახელწოდება. (საკდესი).

ტყიბულელები ეცნობიან დონბასელთა გამოცდილებას

ორჯონიკიძე, (ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

დონბასის ქვანახშირის საუკეთესო ოსტატებთან გუშინ შახტებში გატარებული 8 საათი სამუდამოდ დარჩება ტყიბულელ მაღაროელთა დელეგატების მეხსიერებაში.

საღამომდე დონბასელებმა სტუმრებს გააცნეს უკრაინის მიწის ქვანახშირის მდიდარი ფენები და მათი დამუშავების სისტემა გაუმჯობესებული მექანიზმებით. სტუმრებზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა ჰიდრო-შახტმა, რომელიც მოწყობილია ინჟინერ მუჩნიკის სისტემის მიხედვით. ის აგებულია საბჭოთა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით, რომლის მსგავსი არ იცის კაპიტალისტურმა ევროპამ.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე აგრეთვე წითელდროშოვანმა შახტმა „კრასნი ოქტიაბრ", სადაც მექანიზებულია ქვანახშირის ამოღების პროცესები. დელეგაციის მთელი შემადგენლობა ჩაეშვა შახტში და დეტალურად გაეცნო მის მუშაობას.

საღამოთი შახტის ეზოში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი. სიტყვით გამოვიდა შახტის უფროსი ორდენოსანი **პლისოვი,** მნგრეველი **სვეტოვი** და უბნის უფროსი **რიჟკოვი.** ტყიბულის მაღაროელთა დელეგაციის სახელით სიტყვები წარმოსთქვეს კაკაურიძემ, ცეცხლაძემ, ნაჭყებიამ.

მიტინგი ჩატარდა ხალხთა სტალინური მეგობრობის ნიშნით. გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისა** და სტალინური სახალხო კომისრის **ლ. კაგანოვიჩის** პატივსაცემად.

გ. გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე სწერდა „პრავდა"?

რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის დასაწყისში 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს ახალი სტილით) ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა". გაზეთი გათვალისწინებული იყო მუშათა უფართოესი ფენებისათვის და მიზნად ისახავდა გაეშუქებინა რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარების გზა, ეჩვენებინა მუშებისათვის, ვინ იყვნენ მათი ნამდვილი მეგობრები და მტრები, მტკიცედ დაეცვა მუშათა კლასის ინტერესები.

„„პრავდა", — სწერდა ამხანაგი სტალინი 1922 წელს „პრავდის" ათი წლის იუბილეს გამო, — უნდა დახმარებოდა მოწინავე მუშებს შეემჭიდროვებინათ პარტიული დროშის ირგვლივ ახალი ბრძოლისათვის გამოღვიძებული, მაგრამ პოლიტიკურად ჩამორჩენილი, ფართო ფენები რუსეთის მუშათა კლასისა".

თუ გაზეთი „ზვეზდა", რომელიც „პრავდამდე" გამოდიოდა გათვალისწინებული იყო მხოლოდ მოწინავე მუშებისათვის, „პრავდა" თავის ირგვლივ იკრებდა და რაზმავდა მუშათა ფართო ფენებს.

გაზეთი პირველი ნომრიდანვე მოუწოდებდა მუშებს უახლოესი მონაწილეობა მიეღოთ გაზეთის მუშაობაში.

„ჩვენი სურვილი იქნებოდა, — მიმართავდა რედაქცია თავის მკითხველებს, — რომ მუშები არ სჯერდებოდნენ მარტო თანაგრძნობას, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის წარმოების საქმეში. დაე მუშები ნუ იტყვიან, რომ მწერლობა მათთვის „უჩვეულო" სამუშაოა: მუშა-ლიტერატორები ციდან მზად როდი ცვივიან, მათი გამოშუშავება ხდება თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის პროცესში. მხოლოდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო საქმეს ხელი: ორიოდეჯერ წაიბორძიკებ, და ამასობაში წერასაც ისწავლი...".

„პრავდამ" შესძლო კიდეც თავის ირგვლივ დაერაზმა ათეული და ასეული ათასი მუშა, დაეახლოვებინა ისინი და გაეხადა თავის თანამშრომლებად.

გაზეთი უმთავრესად სწერდა მუშათა მოძრაობის საკითხებზე. თვითეულ მის ნომერში იბეჭდებოდა მუშების უამრავი კორესპონდენციები, რომლებიც მუშათა ცხოვრების აუტანელი პირობების აწერასთან ერთად იძლეოდნენ კაპიტალისტური წესების მკვეთრ კრიტიკას, ამხელდნენ არსებული წყობილების სიდამპლეს, მეფის მთავრობის მოხელეთა და კაპიტალისტთა გახრწნილებას.

მეფის ხელისუფლების და საწარმოების მფლობელთა მიმართ მუშების სიძულვილი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი გამოხატულებას პოულობდა „პრავდის" ფურცლებზე.

„პრავდა" ფართოდ აშუქებდა მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, აწყობდა გაფიცული მუშებისათვის ფულად დახმარებას. იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მუშების რევოლუციურ გამოსვლებს, აყენებდა მომენტის შესაფერის ლოზუნგებს და ა. შ.

„პრავდა" სწერდა აგრეთვე სოფლის ცხოვრებაზე. ის „სისტემატურად აშუქებდა გლეხთა ცხოვრებას, გლეხობის შიმშილობას, გლეხობის ექსპლუატაციას მემამულე-მებატონეების მიერ, სტოლიპინის „რეფორმის" შედეგად გლეხთა საუკეთესო მიწის წართმევას მეხუტორე-კულაკების მიერ". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 184).

„პრავდა" წინააღმდეგ მენშევიკური ჭადაგებისა მოუწოდებდა მუშებს გლეხობასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობისაკენ. გაზეთი ასწავლიდა, რომ ის, ვინც უარჰყოფს მუშების კავშირს გლეხობასთან, რევოლუციის მტერია და ამიტომ მას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, რომ რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია რევოლუციური გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, გარეშე.

ამ პერიოდში მკვეთრად იდგა ლიკვიდატორებთან ბრძოლის საკითხი. მართალია, პრაღის კონფერენციაზე ბოლშევიკებმა განდევნეს ლიკვიდატორები პარტიიდან, მაგრამ მათთან ბრძოლა ამით არ შეწყვეტილა, იგი კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა.

„პრავდა" ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურ ბრძოლას აჩაღებს ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

ლენინი, რომელსაც ემიგრაციაში ყოფნის გამო არ შეეძლო უშუალოდ ეხელმძღვანელნა გაზეთისათვის, რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილებში განსაკუთრებით მიუთითებდა ლიკვიდატორებთან გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობაზე. საჭირო იყო პარტიის ლეგალური ორგანიზაციებიდან (სათათბიროს ფრაქცია, პრესა, დამზღვევი სალაროები, პროფკავშირები) ლიკვიდატორების განდევნა. საჭირო იყო აღნიშნული ორგანიზაციების გამოგლეჯა მენშევიკების ხელიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია მაშინ ვერ შესძლებდა მშრომელთა ფართო მასების დარაზმვას თავისი დროშის ირგვლივ, იგი მოსწყდებოდა ამ მასებს და გადაიქცეოდა კარჩაკეტილ წრედ.

ამ ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. თავისი სტატიებით სტალინი რაზმავდა მუშათა ფართო ფენებს ბოლშევიკური, პარტიული დროშის ირგვლივ, გადმოჰყავდა ისინი ბოლშევიზმის მხარეზე, აცნობდა მასებს თანმიმდევრულ ბოლშევიკურ თვალსაზრისს მუშათა მოძრაობის ამოცანებზე, ამხელდა მენშევიკების, ლიკვიდატორების გამცემლობას.

„პრავდამ" 1912-1914 წლებში, იდგა რა იგი პარტიულობისათვის, მასობრივი მუშათა რევოლუციური პარტიის აღდგენისათვის ბრძოლის ცენტრში, მოამზადა და დააჩქარა ლიკვიდატორებზე გამარჯვება.

„თუ სწორია ის დებულება, — სწერს ამხანაგი სტალინი, — რომ ლიკვიდატორებზე გამარჯვების გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა ის პარტია, თავისი შემჭიდროვებითა და პროლეტარიატისადმი თავისი უძლეველი ერთგულებით ძლიერი, რომელმაც მოაწყო 1917 წლის ოქტომბერი, — ამდენადვე სწორია ისიც, რომ ძველი „პრავდის" შეუპოვარმა და თავდადებულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად მოამზადა და დააჩქარა ეს გამარჯვება ლიკვიდატორებზე. ამ აზრით ძველი „პრავდა" უეჭველია იყო რუსეთის პროლეტარიატის მომავალ სახელოვან გამარჯვებათა წინასწარმაუწყებელი" („პრავდის" ათი წლისთავისათვის", „პრავდა" № 98, 1922 წ. 5 მაისი).

„პრავდამ" ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით შექმნა ბოლშევიკური ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი ტრადიცია. „პრავდის" დახმარებით პარტიამ გამოზარდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელმაც მოამზადა და მოახდინა კიდეც ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუცია.

„შჩორსი"

XVIII პარტყრილობას საბჭოთა კინოხელოვნება ორი შესანიშნავი ფილმით შეხვდა. ჩვენ უკვე ვნახეთ მ. რომის „ლენინი 1918 წელში" და ამჟამად თბილისის საუკეთესო ეკრანებზე უჩვენებენ ა. დოვჟენკოს „შჩორსს".

ოთხი წლის წინათ, როცა კინომატოგრაფიის დაჯილდოვებულ მუშაკებს ორდენები ჩააბარეს, ამხანაგმა სტალინმა „არსენალისა" და „აეროგრადის" ავტორს, გამოჩენილ უკრაინელ რეჟისორს ა. დოვჟენკოს მოაგონა უკრაინის ხალხური გმირი შჩორსი და ურჩია ეფიქრა მის შესახებ. ბელადმა მხატვარს შესანიშნავი თემა მისცა. შჩორსს არა მარტო უკრაინა იცნობს. მთელი საბჭოთა კავშირის საყვარელი გმირია ეს შეუდრეკელი ბოლშევიკი, აღგზნებული რევოლუციის ცეცხლით. მის შესახებ დარჩა მრავალი საბუთი, მოგონება, მაგრამ ყველაფერი ეს მოგვითხრობს მის გმირობაზე, შეუპოვრობაზე, ჭკუაზე, ნიჭზე, ჩვენ კი მისი გულიც, მისი ადამიანური გაქანება, სიყვარული და სიძულვილი გვინდა ვიგრძნოთ, ჩვენ თვით შჩორსი გვინდა ვნახოთ, ცოცხალი შჩორსი.

ეს დიდი და რთული ამოცანა ა. დოვჟენკომ წარმატებით გადასჭრა. ეკრანზე მან გადაშალა გრანდიოზული ეპოპეა, უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაუვიწყარი სურათები, გვიჩვენა ნამდვილი შჩორსი, მისი სახელოვანი თანამებრძოლები.

ძნელია ამ ფილმის შესახებ წერა. დაუსრულებლად გინდა უცქირო ამ შესანიშნავ სურათს, რომელმაც გააცოცხლა სამოქალაქო ომის ამაღელვებელი ეპიზოდები, გმირები, არ გსურს მოშორდე ამ მომხიბვლელ თავდადებას, ვაჟკაცობას.

„შჩორსის" დრამატურგია თავისებური, განუმეორებელია. დოვჟენკომ შეკრიბა ყველაფერი, რაც ხალხში დარჩა შჩორსის შესახებ. და ამ მდიდარ ფოლკლორზე ააშენა ძლიერი ეპიკური ნაწარმოები მძაფრი დრამატიული კონფლიქტით. როცა ამ ფილმს უსმენ, ძალაუნებურად გაგონდება „ჩაპაევი".

შჩორსი სურათის დასაწყისიდანვე გვევლინება როგორც მთლიანი, მტკიცე ნებისყოფის მქონე სახალხო გმირი. შჩორსი თვით ებრძვის პარტიზანშჩინას, რომელიც ფილმში წარმოდგენილია ბატკო ბოჟენკოს სახით. ამ ორი მომქმედი პირის დამოკიდებულებაშია დრამატიული კონფლიქტი. შჩორსი და ბოჟენკო მეგობრები არიან. მაგრამ ეს მეგობრობა სავსეა სასტიკი შეტაკებებით. შჩორსი ბოლშევიკური დაჟინებით ზრდის ბოჟენკოს. განსაკუთრებით ძლიერია ფილმის ადგილი, როცა ცოლის სიკვდილმა ბატკო სავსებით გამოიყვანა წონასწორობიდან. კიევში ხალხის მტრებმა მოჰკლეს ბატკოს ცოლი. განრისხებულ ბოჟენკოს ყველაფერი დაავიწყდა. იგი ბავშვივით სტირის გულაჩუყებული და უცბად გადასწყვეტს: მოხსნას ფრონტიდან თავისი ბრიგადა (ტარაშანელები), თავს დაესხას კიევს და გასწმინდოს იგი. ობიექტურად ეს გადაწყვეტილება ღალატს უდრის. განრისხებული შჩორსი თავისებური სიმტკიცით ეუბნება:

— მე შენ მიყვარხარ, ბატკო, მაგრამ თუ ასეა, ჩემი ბოგუნელები გაანადგურებენ შენს ტარაშანელებს, მე მოგკლავ შენ აქვე ადგილზე და მეც დავიღუპები.

ორი ძლიერი ხასიათის — ბოლშევიკური სიმტკიცისა და პარტიზანშჩინის შეტაკება შჩორსის გამარჯვებით დასრულდა. მან შესძლო ბოჟენკოს გარდაქმნა რევოლუციონერ მებრძოლად.

„შჩორსი" განსაკუთრებული ტემპების ფილმია. ავტორმა აიღო არა შჩორსის ცალკეული ეპიზოდები, არამედ უკრაინის სახალხო ბრძოლა გერმანელების, გაიდამაკების, პოლონელი პანების წინააღმდეგ. მოქმედება სწარმოებს მთელს უკრაინაში. ეკრანზე ერთბაშად მოსჩანს უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი ბატალური სცენები. შესანიშნავია გერმანელების უკანდახევის მომენტი, როცა პრიალა თოვლზე მოსჩანს თავზარდაცემული შავი ფიგურების უკანდახევა და ბოგუნელთა ვეფხური თავდასხმა.

მოქმედება დიდი სისწრაფით ვითარდება. რეჟისორი ცდილობს ერთ ფილმში მოაქციოს ეს გრანდიოზული ეპოპეა—გერმანელების შემოსევა, რევოლუცია გერმანიაში, დაძმობილება გერმანელ ჯარისკაცებთან, ბრძოლები პეტლიურასთან, სისხლიანი შეტაკება გაიდამაკებთან, პოლონელებთან, „ჯოჯოხეთი", ბერდიჩევთან, შინაური მტრის — ტროცკის და მისი ემისრების შენიღბული შეტევის მოგერიება და მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის კიევის გასათავისუფლებლად. ამ დიდ ამბებში თავიდან ბოლომდე მიდის შჩორსი როგორც რაინდი რკინის ხასიათით, დიდი გაქანებით; გრძნობებით. ეს ფილმი მით არის შესანიშნავი, რომ დოვჟენკომ შესძლო მოეცა კლასიკური ტრაგედიების გმირთა თანაბარი ხასიათების მქონე სახეები. შჩორსი სწორედ ისეა მოცემული სურათში, როგორიც ის იყო სინამდვილეში, როგორიც ის დარჩა ხალხის გულში, ხალხის ხსოვნაში.

ასეთივე დიდი სიყვარულითაა გაკეთებული ბოჟენკო. რა ფერადები გამოსძებნეს ფილმის ავტორებმა და მსახიობებმა (შჩორსი — ე. სამოილოვი, ბოჟენკო — ი. სკურატოვი) ამ ხალხური გმირების სახეების გამოსაკვეთად, ფილმში ბევრი მონაწილეა—ჩიჟი, ისაკი, სავკა ტროიანი და სხვები, რომელთა სახელებიც არ იციან მაყურებლებმა, მაგრამ რომელთა სახეები დაუვიწყარია. ასევე დაუვიწყარია ფილმის ცალკეული შესანიშნავი ეპიზოდები. აი ბოჟენკოს სიკვდილის სცენა. მწუხარე ტარაშანელებს მიჰყავთ დაჭრილი ბოჟენკო. იქვე მიჰქრიან ცხენოსნები და გრძნობ: ბატკო კვდება, მაგრამ მისი ბრიგადა ბრძოლას არ სწყვეტს, აძლიერებს. ეს ეპიზოდი გაგრძელებულია, მაგრამ დოვჟენკო მარტო რეჟისორი როდია, იგი პოეტია და სურს ეს შესანიშნავი ეპიზოდი გვიჩვენოს უკრაინის ბუნების თვალწარმტაც ფონზე, გადაშალოს ჩვენს წინაშე მდიდარი ფერები უკრაინის დღისა. ბოჟენკოს დასაფლავება საღამოს ხდება და შჩორსი მის საფლავზე სიტყვას ამბობს ჩამავალი მზის სხივებით განათებული.

ეს შესანიშნავი ფილმია, რომელიც საბჭოთა კინოხელოვნების ოქროს ფონდში შევა, როგორც ახალი სიტყვა, როგორც სახალხო გმირის მიკოლა შჩორსის უკვდავი ძეგლი.

გრ. ნუცუბიძე

ა. დოვჟენკოს ახალი ფილმი „შჩორსი". სურათზე: ე. სამოილოვი ნ. შჩორსის და ი. სკურატოვი ვას. ბოჟენკოს როლში

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა ერთი ჯგუფი, რომელთა გამოშვებაც მოხდა პრესის დღესთან დაკავშირებით, გუშინ, 4 მაისს. სურათზე (ზევიდან ქვევით): თ. ალავერდაშვილი, ი. ზარათიშვილი, მ. მესტიაშვილი, ვ. მჭედლიშვილი, ი. მჭედლიშვილი, ა. კალანდარიშვილი, ი. ბასილაშვილი, ე. ელბაქიძე, მ. მირცხულავა, ვ. ნინუა, გ. ბადრიძე, ვ. ბერაძე, გ. კაცაძე, დ. ნუცუბიძე, ვ. მჭედლიშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით გასული წლის ნოემბრიდან „კომუნისტის" რედაქციასთან მოეწყო თბილისის საწარმო - დაწესებულებების ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები. ამ კურსებზე თბილისის პარტიული ორგანიზაციის რაიკომებმა გამოგზავნეს მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთების რედაქტორები, რედკოლეგიის წევრები და აქტიური მუშკორები.

კურსებმა დიდად შეუწყო ხელი ძირეული პრესის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ამის შედეგად თვალსაჩინოდ გარდაიქმნა იმ კედლის გაზეთების მუშაობა, რომლებ[ი]ს კეთებაშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი კურსების მსმენელები.

იმ ამხანაგებს, რომელთაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ოთხთვეზე მეტი დაჰყვეს კურსებზე, შეუძლიათ კარგად მოაწყონ კედლის გაზეთების გამოშვება.

ძირეული პრესის მუშაკთა სწავლება სწარმოებდა სპეციალური პროგრამით. ძირითადი საგნებიდან ჩატარებულ იქნა ლექციები: ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან, ლენინი და სტალინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, პრესა სსრ კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნებში პარტკომკავშირული საკითხები გაზეთში; სტახანოვური მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება გაზეთში, რედკოლეგიის მუშაობის ორგანიზაცია, გაზეთი და პარტორგანიზაცია და სხვ. უკანასკნელ ხანებში ჩატარებული ლექციები დაკავშირებული იყო XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და რეალიზაციის პრაქტიკულ საკითხებთან.

გარდა ლექციებისა, მსმენელებს რამოდენჯერმე მიცემული ჰქონდათ პრაქტიკული დავალებები კორესპონდენციაზე მუშაობის და გაზეთების გაკეთებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

კურსებზე გვყავდნენ სწავლების ფრიადოსნები: ამხ. თ. ალავერდაშვილი, ი. ბასილაშვილი, ი. ზარაფიშვილი, გ. თევზაძე, ვ. მჭედლიშვილი, მ. მირცხულავა, ი. მჭედლიშვილი, გ. ბადრიძე, ალ. კალანდარიშვილი, ვლ. ბერაძე, ეკ. ელბაქიძე, მ. მესტიაშვილი, ვლ. ნინუა, პ. ურუშაძე, თ. მეტრეველი და სხვ., რომლებიც არა მარტო სისტემატურად დაიარებოდნენ მეცადინეობაზე, არამედ გავლილ მასალას კარგად ითვისებდნენ და მიცემულ დავალებებსაც პირნათლად ასრულებდნენ.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მოხდა მათი გამოშვება. კურსდამთავრებულები აღჭურვილი არიან საკმაო ცოდნით, რომ კედლის გაზეთების მუშაობა გარდაჰქმნან XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამ საქმეში მათ ნამდვილი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ბ. კო—ლი.

„პრავდა" ოქტომბრის გზაზე

ოცდაშვიდი წლის წინათ მძლავრი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში წარმოიშვა მასობრივი მუშური გაზეთი „პრავდა". მისი შემოქმედნი, ფუძემდებელნი და რედაქტორები იყვნენ ლენინი და სტალინი.

„პრავდის" პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს ახალი სტილით). გაზეთ „პრავდის" გამოსვლა მუშებისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო. მისი გამოსვლის აღსანიშნავად გადასწყდა 5 მაისი მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულად გამოეცხადებინათ.

ბოლშევიკური „პრავდის" ისტორია ჩვენი პარტიის, ბოლშევიზმის ძალთა დარაზმვისათვის, მუშათა კლასის გამარჯვებისა და სოციალიზმის ზეიმისათვის ბრძოლის ისტორიის განუყრელი, განუყოფელი ნაწილია.

განუწყვეტელი პოლიციური დევნის, ჯარიმებისა და კონფისკაციების მიუხედავად, „პრავდამ" ათიათასობით მოწინავე მუშების აქტიური დახმარებით ბრწყინვალედ შეასრულა მის წინაშე ამ პერიოდში დასახული დიდი როლი. მან ბოლშევიკთა გარშემო დარაზმა მუშათა კლასის ფართო მასები. სოფელთან დაკავშირებული მუშების მეშვეობით „პრავდა" შეიჭრა სოფელში და რევოლუციური ბრძოლისათვის გამოაღვიძა მოწინავე გლეხები.

„პრავდა" იდგა პარტიულობისათვის, მასობრივი მუშათა რევოლუციური პარტიის აღდგენისათვის ბრძოლის ცენტრში. იგი ბოლშევიკთა არალეგალური უჯრედების გარშემო რაზმავდა ლეგალურ ორგანიზაციებს, წარმართავდა მუშათა მოძრაობას რევოლუციის მომზადებისაკენ. „პრავდის" მეოხებით წარმატებით დაგვირგვინდა ბოლშევიკთა გადამწყვეტი ბრძოლა მუშათა კლასის ლეგალური ორგანიზაციებიდან ლიკვიდატორთა განდევნისათვის. აერთებდა რა ლეგალურ მუშაობას არალეგალურ მუშაობასთან, „პრავდის" რედაქცია გადაიქცა ისეთ ადგილად, სადაც „თავმოყრილი იყო პარტიის ორგანიზაციული მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქ მართავდნენ შეხვედრებს ადგილობრივი პარტიული უჯრედების წარმომადგენლებთან, აქ მოდიოდა ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ ფაბრიკებსა და ქარხნებში. აქედან გადაეცემოდა ხოლმე პარტიის პეტერბურგის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის პარტიული დირექტივები". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 23).

ორნახევარი წლის განმავლობაში, მასობრივი რევოლუციური მუშათა პარტიის აღდგენისათვის ბრძოლაში „პრავდის" გავლენა და ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ 1914 წლის ზაფხულისათვის „პრავდისტებს", ე. ი. ბოლშევიკებს „მიჰყვებოდა რუსეთის აქტიურ მუშათა **ოთხი მეხუთედი**".

„პრავდასთან" ერთად იზრდებოდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელმაც შემდეგში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ჩაატარა" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 232).

„1912 წლის „პრავდა" — ეს საძირკვლის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს". (სტალინი).

მეფის მთავრობა სასტიკად სდევნიდა „პრავდას": ორნახევარი წლის განმავლობაში მან 8-ჯერ დახურა „პრავდა". მაგრამ მეფის ჯალათებმა ვერ შესძლეს ბოლშევიკური გაზეთის ნებისყოფისა და ძალის გატეხა. მუშათა მხარდაჭერით იგი კვლავ იწყებდა გამოსვლას ახალი, მსგავსი სახელწოდებით. („ზა პრავდუ", „პუტ პრავდი", „ტრუდოვაია პრავდა" და სხვ.). მაგრამ 1914 წლის 8 ივლისს მეფის მთავრობამ მაინც გაანადგურა რედაქცია და დააპატიმრა „პრავდის" თანამშრომლები.

◆

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური პარტია სრულიად ახალ ვითარებაში შევიდა: ვ. ი. ლენინმა პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე ახალი ამოცანები დასახა. „მიმდინარე მომენტის თავისებურება რუსეთში, — სწერდა იგი „აპრილის თეზისებში", — იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას გასცა, — **გადავიდეთ მის მეორე** ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატსა და გლეხობის ულარიბეს ფენებს". (ლენინი, თხზ. კრებ. ტ. 22, გვ. 88, რუსული გამოც.).

ამისათვის უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო მოგვეხდინა შემთანხმებლური პარტიების (ესერებისა და მენშევიკების) იზოლაცია, ვინაიდან როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, „საკითხის რევოლუციური გზით გადაჭრის მტრების ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენენ შემთანხმებლური პარტიები". (ი. ბ. სტალინი „ოქტომბრის გზებზე" გვ. 39 რუს. გამოც.). ამიტომ ბოლშევიკური პარტია და მისი პრესა ყოველდღიურად ყოველსაათობით შეუბრალებლად ამჟღავნებდნენ ესერებსა და მენშევიკებს, მათს მონურ სამსახურს იმპერიალისტური ბურჟუაზიისადმი.

ისე როგორც პირველი ნომრებიდან, „პრავდა" ოქტომბრის რევოლუციის დღეებშიც იყო პარტიის მებრძოლი ორგანო, მისი მძლავრი იარაღი ესერების, მენშევიკებისა და კადეტების წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების კოლექტიური ორგანიზატორი. თავისი ფურცლებით მას ხალხის მასებში შეჰქონდა ბოლშევიზმის ცეცხლოვანი ლოზუნგები. 7 აპრილს მასში გამოქვეყნდა ლენინის „აპრილის თეზისები", ხოლო 14 აპრილს — ამხანაგ სტალინის სტატია „მიწა — გლეხებს", რომელშიც მან განუმარტა გლეხებს, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მინისტრმა შინგარიოვმა გლეხებს აუკრძალა მემამულეთა მიწების მოხვნა, იგი მოუწოდებდა ღარიბ გლეხობას „თავის საკუთარ ხელში აიღოს თავისი საქმე და წასწიოს იგი წინ" (ი. სტალინი, „ოქტომბრის გზებზე", გვ. 19 რუს. გამოც.).

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სტატიები, რომლებიც „პრავდაში" იბეჭდებოდა, ჟურნალისტური ნაშრომის ბრწყინვალე ნიმუშებია. ეს სტატიები დაწერილია მხატვრული, უბრალო ენით, უაღრესად ნათლად, გარკვეულად, ბოლშევიკური მგზნებარებით.

ბურჟუაზიულ პრესას სძულდა „პრავდა", ცილისწამების საზიზღარ კამპანიას ეწეოდა მის წინააღმდეგ. კაპიტალისტების გაზეთებს სურდათ ყოველნაირად შეეშალათ ხელი ბოლშევიკური ლოზუნგების განმარტებისათვის. ლენინი და სტალინი ამხილებდნენ სიცრუეს, ყოველ ნომერში გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ბურჟუაზიულ გაზეთებს და დაუღალავად განუმარტავდნენ მშრომელ მასებს ბოლშევიკების პარტიის ხაზს.

ბურჟუაზიას ესმოდა, რომ ჩვენი პარტიის გაზეთებს უდიდესი ძალა აქვს და ამიტომ მეტისმეტად ეშინოდა მათი გავრცელებისა ხალხის მასებში, ფრონტზე. პრესის გამავრცელებელი სააგენტოები უარს ამბობდნენ „პრავდის" გავრცელებაზე, მის მკითხველებს სდევნიდნენ. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, „პრავდა" და სხვა ბოლშევიკური გაზეთები გზას იკვლევდნენ თავისი მკითხველისაკენ. კონტრრევოლუცია გაафთრებით ეძებდა საბაბს, რათა მოესპო კომუნისტური პარტია და მისი პრესა; ამ მიზნისათვის მან ისარგებლა რევოლუციური მასების ივლისის გამოსვლით.

4 ივლისს ღამით „პრავდის" რედაქციის შენობას ავტომობილით მიადგნენ შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული იუნკრები. შავრაზმელებმა, რომელთაც გაჩხრეკის ორდერიც კი არ წარუდგენიათ, შაშხანა დაადეს გულზე რედაქტორს და დაარბიეს რედაქცია. მეორე ღამეს მათ ასევე დაარბიეს „ტრუდის" სტამბა, სადაც „პრავდა" იბეჭდებოდა.

დროებითმა მთავრობამ გასცა ბრძანება ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ იგი უკვე არალეგალურად ცხოვრობდა და იქიდან უგზავნიდა „პრავდას" თავის სტატიებს. კონტრრევოლუციამ ვერ შესძლო თავი მოეკვეთა პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოს რედაქციისათვის. ლენინის მაგივრად მუშაობა განაგრძო ამხანაგმა სტალინმა. „პრავდის" დარბევის მეორე დღეს გამოვიდა „ლისტოკ პრავდი" ვ. ი. ლენინის სტატიებით და რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის მიმართვით.

რამდენიმე დღის შემდეგ დროებითმა მთავრობამ ოფიციალურად აკრძალა „პრავდის" გამოცემა და გავრცელება. გარდა ამისა, დახურეს „ოკოპნაია პრავდა", „კრონშტადტსკაია პრავდა" და სხვა ბოლშევიკური გაზეთები.

მაგრამ ბევრი მათგანი მეორე დღეს ისევ გამოვიდა სახელწოდებაშეცვლილი: „პრავდის" ნაცვლად— „რაბოჩი ი სოლდატ", „კრონშტადტსკაია პრავდის" ნაცვლად — „პროლეტარსკოე დელო" და სხვ.

ივლისის დღეების შემდეგ გაზეთი „პრავდა" ხუთჯერ დახურეს. მაგრამ ყოველთვის ი. ბ. სტალინის მეცადინეობით იგი კვლავ გამოდიოდა და ისევ მთელი მგზნებარებით, შეურიგებლობითა და შეუპოვრობით მუსრავდა რევოლუციის მტრებს, გამცემლებსა და მოღალატეებს. პარტიის VI ყრილობამ ამხანაგი სტალინი დაამტკიცა ცენტრალური ორგანოს რედაქტორად. ლენინის საუკეთესო მოწაფე გაზეთს რედაქტორობდა ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში — შეიარაღებული აჯანყების უშუალო მომზადების პერიოდში.

კორნილოვის ამბოხების დღეებში „პრავდას" ეწოდებოდა „რაბოჩი". „რაბოჩის" პირველ ექვს ნომერში მოთავსებული იყო მოწინავე სტატიები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დასწერა ამბოხების შესახებ. ამავე თემაზე იმ დროს ვ. ი. ლენინმა დასწერა კონსპირატიული წერილი რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ წერილში ნათქვამი იყო:

„წავიკითხე რა ამის (ე. ი. წერილის) დაწერის შემდეგ „რაბოჩის" ექვსი ნომერი, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი აზრები სავსებით დაემთხვა ერთმანეთს. სულითა და გულით მივესალმები საუცხოო მოწინავეებს, პრესის მიმოხილვასა და სტატიებს". (ლენინი, თხზ. ტ. XXI, გვ. 120, რუს. გამ.).

გაზეთ „რაბოჩი პუტში", რომელიც დახურული „რაბოჩის" ნაცვლად გამოვიდა, 7 ოქტომბერს გამოქვეყნდა ლენინის სტატია „კრიზისი მომწიფდა". მასში იგი სწერს, რომ ბოლშევიკები უბადრუკი მოღალატეები იქნებოდნენ კონსტიტუციური ილუზიების მახეში რომ თავი გაებმევინებინათ.

იმ სტატიის მე-6 თავში, რომელიც მაშინ არ გამოქვეყნებულა კონსპირატიული მოსაზრებით, იგი პირდაპირ ამბობს, რომ „ახლა რომ ძალაუფლება ხელში არ ავიღოთ... ეს იქნებოდა **რევოლუციის დაღუპვა**". (ლენინი, თხზ. კრ. ტ. XXI, გვ. 241, რუს. გამოც.) პროლეტარიატის საქმის საზიზღარი მოღალატენი აღმოჩნდნენ კამენევი და ზინოვიევი. ისინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ. მათი ყველა საბუთი ლენინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „წერილში ამხანაგებისადმი" („რაბოჩი პუტ" № 40, 41 და 42).

მაგრამ ამ საზიზღარმა მოღალატეებმა, ხალხის მტრებმა არ დაჰყარეს იარაღი და ისინი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ისინი გამოვიდნენ განცხადებით არაპარტიულ გაზეთში და პარტიული საიდუმლოება გაუმჟღავნეს კაპიტალისტებსა და მემამულეებს.

ვ. ი. ლენინი ღრმად აღაშფოთა მათმა გამცემლობამ. „მე პირდაპირ ვამბობ, — სწერდა იგი, — რომ ამ ორთაგან ამხანაგად არც ერთს აღარ ვთვლი და მთელი ძალღონით ცენტრალური კომიტეტის წინაშეც, ყრილობის წინაშეც ვიბრძოლებ პარტიიდან ორივეს გარიცხვისათვის". (ლენინი, თხზ. კრ. ტ. XXI, გვ. 351, რუს. გამოც.).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეს, 24 ოქტომბერს, დროებითმა მთავრობამ გასცა ბრძანება ბოლშევიკების ცენტრალური ორგანოს გაზეთ „რაბოჩი პუტის" და გაზეთ „სოლდატის" დახურვის შესახებ (უკვე მეექვსეჯერ). მაგრამ ეს დროებითმა მთავრობამ უკვე ვეღარ შესძლო. პეტროგრადის სამხედრო - რევოლუციურმა კომიტეტმა გააუქმა ბრძანება მათი დახურვის შესახებ და რედაქციებისა და სტამბების დასაცავად დააყენა რევოლუციური ჯარისკაცები. მეორე დღეს კი მოხდა დიდი პროლეტარული რევოლუცია და უკვე 26 ოქტომბრიდან გაზეთი „რაბოჩი პუტ" კვლავ გამოვიდა „პრავდის" სახელწოდებით.

ლენინურ-სტალინური „პრავდის" სახელოვანი ტრადიციები უბადლო ნიმუშად გადაიქცა ყოველი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისათვის და, პირველ ყოვლისა, საბჭოთა ჟურნალისტისათვის.

„საჭიროა მხოლოდ გვახსოვდეს ჩვენი მოვალეობანი: პატიოსნად ვიშრომოთ და დაუღალავად ვისწავლოთ ის, რაშიც ჩვენ ჯერ კიდევ სუსტნი ვართ, არ დავკმაყოფილდეთ წარმატებებით და არ დავივიწყოთ მტერი და მისი ბოროტი ხრიკები ჩვენი საქმის წინააღმდეგ, მზად ვიყოთ ბრძოლისათვის და მშრალად შევინახოთ დენთი.

მაშინ და მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენ ნამდვილი „პრავდისტები".

(საქდესი).

ჩვენი გაზეთი—„კომუნისტი“

მკითხველების ანკეტა

მუშების საყვარელი გაზეთი

— „კომუნისტი“ მუშების საყვარელი გაზეთია, მას ჩვენი ქარხნის თითქმის ყველა მუშა კითხულობს, და უნდა ითქვას, რომ ეს ჩვენი გაზეთი თითქმის სავსებით აკმაყოფილებს ქართველი მკითხველების მოთხოვნილებას.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ამ საზეიმო დღეს ჩვენ, მუშებს, „კომუნისტის“ მკითხველებს, გვსურს ასეთი წინადადება შემოვიტანოთ:

გაზეთში შემოღებულ იქნეს სპეციალური განყოფილება, ან გამოიყოს პატარა კუთხე, სადაც გაშუქდება თბილისის ცალკეულ საწარმოთა საუკეთესო სტახანოველების მიღწევები.

უფრო ხშირად იბეჭდებოდეს წერილები ყოფაცხოვრებითს საკითხებზე — ოჯახზე, აღზრდაზე და სხვ.

აუცილებლად საჭიროა უფრო ვრცლად შუქდებოდეს რაიონების ცხოვრება. სასოფლო-სამეურნეო კამპანიებს გარდა, მუშებს გვაინტერესებს ის ძვრებიც, რომლებიც ხდება ჩვენი ახალი სოფლის ცხოვრებაში.

„კომუნისტი“ განსაკუთრებით საინტერესო გახდა ამ უკანასკნელ ხანებში. გაზეთს დიდი გაუმჯობესება ეტყობა, მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ ის.

მ. რობაქიძე

სპილენძის სატკეცი ქარხნის სტახანოველი

„კომუნისტს“ მოუთმენლად მოელიან

საქართველოს სოფლებში, თამამად შეიძლება ითქვას, არცერთ გაზეთს არ ეტანება იმდენი მკითხველი, რამდენიც „კომუნისტს“. კოლმეურნე მკითხველები მუდამ მოუთმენლად მოელიან „კომუნისტის“ ახალი ნომრის მიღებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გავრცელების საქმე ყველგან არ არის სათანადოდ მოგვარებული.

რას უფრო კითხულობენ სოფლად „კომუნისტში“? — კითხულობენ უმთავრესად მასალებს პარტიული ცხოვრების შესახებ, საკონსულტაციო მასალებს, საერთაშორისო ამბებს და ინფორმაციას ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებაზე.

უსათუოდ კარგი იქნება და სოფლად დიდ სარგებლობას მოიტანს, თუ ზოგჯერ მაინც „კომუნისტი“ ადგილს დაუთმობს სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებს. როგორ დავაყენოთ სანიტარულ-ჰიგიენური მუშაობა კოლმეურნეობებში, რა ახალი მედიკამენტოზური საშუალებებია გამოსული ბაზარზე, რა ახალი მიღწევები აქვს ჩვენს სამედიცინო მეცნიერებას? ამ საკითხების გაშუქება ძალიან საინტერესო იქნება სოფლად მომუშავე მრავალრიცხოვანი მედპერსონალისათვის.

ექ. ლუბა კუპრაძე

ჩოხატაურის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე

„წვრილმანების“ შესახებ

— „კომუნისტი“ ყველაზე დიდი, ყველაზე გავრცელებული და პოპულარული გაზეთია საქართველოში. ამიტომაც „კომუნისტი“ მართლაც ყველასათვის საყვარელია. მას ერთნაირი ინტერესით ეტანება პროფესორი და სტუდენტი, მუშა და ინჟინერი, დიასახლისი და პოეტი, წითელარმიელი და მოსამსახურე.

გაზეთის თემატიკა მრავალფეროვანი და კარგია. „კომუნისტი“ ყოველთვის დროულად გამოეხმაურება ხოლმე ჩვენი ყოველდღიურობის მწვავე საკითხებს. მაგრამ მე მინდა აქ შევაჩერო ყურადღება ერთ წვრილმან საკითხზე. ეს არის ჩვენი დედაქალაქის ქუჩებისა და მოედნების გაფორმების საკითხი. უცხო კაცი რომ ჩამოვიდეს თბილისში, იგი მოხიბლული დარჩება რუსთაველის პროსპექტის სილამაზით. ლამაზი ცხოვრების ქვეყანაა ჩვენი სამშობლო, ლამაზია თბილისი და მშვენიერია რუსთაველის პროსპექტი, მაგრამ ხშირად ამ ლამაზ ქუჩებს ამახინჯებენ უვიცები. რუსთაველის პროსპექტზე, სასტუმრო „ორიანტთან“, მაღლა შავი ყუთი ჩამოჰკიდეს წარწერით: „რესტორანი“, არც უფიქრიათ მის გამკეთებლებს, რომ ამით ქუჩის ხიდი დაამახინჯეს. ასეთი შემთხვევა ბევრია.

კარგი იქნება, რომ „კომუნისტი“ ასეთ წვრილმანებსაც დაუთმობდეს ადგილს. ქალაქის გაფორმების, ქუჩათა კეთილმოწყობის საკითხები ჩვენს დროში უმნიშვნელო წვრილმანებად არ უნდა მივიჩნიოთ.

სასურველად მიმაჩნია აგრეთვე, რომ „კომუნისტმა“ დროდადრო გააშუქოს ჩვენი მხატვრების შემოქმედებითი მუშაობა. ეს ძალიან წაახალისებს ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრებს.

პროფ. ლ. გუდიაშვილი

მხატვარი-ორდენოსანი

ჩვენი აღმზრდელი

— ბეჭდვითი სიტყვა ჩვენი პარტიის ყველაზე მჭრელი, ყველაზე ბასრი იარაღიაო, — სთქვა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა**. ამ სიბრძნის მთელ ცხოველმყოფელობას განვიცდით ყველანი „კომუნისტის“ მაგალითზედაც. „კომუნისტის“ საშუალებით გველაპარაკება პარტია და ველაპარაკებით ჩვენც პარტიას; „კომუნისტი“ ქართველ მკითხველთა მასების კომუნისტურად აღმზრდელი და გამათვითცნობიერებელი ორგანოა. ქართველ მკითხველებს უყვართ „კომუნისტი“, რადგან იგი მათი გაზეთია.

მე, როგორც მასწავლებელს, საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენი გაზეთი მეტ ადგილს უთმობდეს ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებსაც: საბჭოთა პედაგოგიკის ახალი პრობლემების გაშუქებას, სასწავლებლებში დისციპლინის განმტკიცებას და სხვა ასეთ საკითხებს. ამ საკითხების გაშუქებას მასწავლებლების მუშაობაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

ოლღა შელია

თბილისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი

რაზე უნდა სწერდეს გაზეთი

დღე რომ ისე გავიდეს, „კომუნისტი“ ვერ წავიკითხო, თითქოს რაღაც დიდი რამ დამაკლდა, ვერ ვისვენებ. „კომუნისტის“ წაკითხვა აუცილებელ მოთხოვნილებად გადაგვექცა ყველა მუშას. ჩვენი გაზეთი „კომუნისტი“ სავსებით აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. სასაყვედურო არაფერი გვაქვს.

კარგი იქნება, თუ მომავალში „კომუნისტი“ ადგილს დაუთმობს სხვა ქალაქების საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის გაშუქებას. ამას თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან თუ გაზეთი გაგვაცნობს სხვა ქალაქების გამოცდილებას, ჩვენ საშუალება გვექნება გადმოვიღოთ ეს გამოცდილება.

ილია ტორჩინავა

თბილისის ტრამვაის სტახანოველი

გაზ. „კომუნისტის“ მუშკორები თბილისის წარმოებებიდან: პირველ რიგში—ნ. ბალანჩივაძე და პ. ლიპარტია (მაუდის ფაბრიკა), გ. რაზმაძე და ს. ლაჩელი (ტრამვაის სახელოსნოები), შ. ბირკაძე (ლითონკონსტრუქტორის ქარხანა), მეორე რიგში—მ. ბეგალიშვილი (26 კომისრების ქარხანა), ო. გოგუაძე (აბრეშუმის ფაბრიკა), ვ. ჯაგაევი, გ. ქსოვრელი და ლ. გვარამაძე (ორთქლმავალ ვაგონ-სარემონტო ქარხანა).

ფოტო რ. აკოფოვისა და ვ. გინზბურგის.

რას ვკითხულობთ კოლმეურნეები

— კოლმეურნეები ახლა მასობრივად ეტანებიან გაზეთს. რა თქმა უნდა, ჩვენს შორის ყველაზე გავრცელებულია „კომუნისტი“, რომელიც თითქმის ყველას აქვს გამოწერილი. რას ვკითხულობთ გაზეთში, რა მასალა უფრო გვაინტერესებს ჩვენ? გვაინტერესებს—საერთაშორისო ამბები, საშინაო ინფორმაცია (რა მოხდა ქალაქში?), მეცნიერება და ტექნიკა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ამბავი. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ჩვენი კოლმეურნეობაც ღებულობს მონაწილეობას.

კოლმეურნეებს ერთი თხოვნა გვაქვს ჩვენს გაზეთთან — როცა დეპეშებში რაიმე უცხო და ჩვენთვის გაუგებარი სიტყვა იქნეს, იქვე მოათავსეთ მისი ქართულად ახსნა, თორემ ხშირად ერთ კილომეტრზე უნდა წავიდეთ იმისათვის, რომ ეს უცხო სიტყვა გავიგოთ და რომ არ გავიგოთ, არ შეიძლება.

პორფილე ეფრემიძე

მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თბილისი) სტახანოველი ბრიგადირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი და წიგნი საქართველოში

(ციფრები და ფაქტები)

ბეჭდვითი სიტყვის დღეს—5 მაისს ჩვენი ქვეყანა დიდი მიღწევებით ხვდება. სტალინურმა ხუთწლედებმა ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოახდინეს ჩვენს ქვეყანაში და წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა მოწინავე კულტურის ქვეყნად აქციეს.

ცნობილია, რომ პირველი ქართული წიგნი — პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ დაისტამბა რომში 1629 წელს. აღნიშნული თარიღით იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია.

1629 წლიდან 1921 წლამდე, (საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) თითქმის სამი საუკუნის მანძილზე დაბეჭდილი ქართული წიგნის სახელწოდებათა რაოდენობა აღწევს დაახლოვებით 5000-მდე.

გამოცემული წიგნების დიდი ნაწილი რელიგიური შინაარსისაა და მხოლოდ მცირე ნაწილი შეადგენს სამეცნიერო ლიტერატურას.

ქართული კულტურის ნამდვილი აყვავების ხანა საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იწყება.

საბჭოთა საქართველოში 18 წლის მანძილზე დაიბეჭდა და გამოიცა 18.672 სახელწოდების წიგნი და მათ შორის 14.000-მდე ქართულ ენაზე, ანუ სამ საუკუნესთან შედარებით მარტო ქართული წიგნის პროდუქცია სახელწოდების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში თითქმის 300 პროცენტით გაიზარდა. მარტო 1938 წლის განმავლობაში დაიბეჭდა და გამოიცა 1.117 სახელწოდების წიგნი.

საქართველოში ნაცუმცირესობათა ენებზე გამოცემულია მრავალი წიგნი. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნაცუმცირესობათა ენებზე თითქმის არაფერი დაბეჭდილა და გამოცემულა, მხოლოდ სტალინური მეორე ხუთწლედის პერიოდში აფხაზურ ენაზე გამოიცა 220 სახელწოდების წიგნი, ოსურ ენაზე — 99, სომხურ ენაზე — 171, აზერბაიჯანულზე — 121 წიგნი და ა. შ.

სოციალისტური კულტურის ფუძემდებლების მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომები გამოიცა ცალკე წიგნებად 1921 წლიდან დღემდე 271 სახელწოდება საერთო ტირაჟით 3.654.850 ცალი. მათ შორის მარქს-ენგელსის შრომები 44 სახელწოდება ტირაჟით 308.300. ლენინ-სტალინის შრომები დაიბეჭდა და გამოიცა 229 სახელწოდება 3.346.550 ცალი. ეს ციფრები ნათელჰყოფენ ჩვენი ქვეყნის მშრომელების უდიდეს ინტერესს დაეუფლონ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერებას — მარქსიზმ-ლენინიზმს.

დიდი მიღწევები გვაქვს პრესის დარგშიაც. 1938 წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკაში გამოდიოდა 118 გაზეთი. მათ შორის ქართულ ენაზე გამოდიოდა 57 გაზეთი, აზერბაიჯანულ ენაზე 6, სომხურზე — 3, რუსულზე — 9, აფხაზურზე—1, ოსურზე—2 და სხვა.

მიუხედავად ამ დიდი მიღწევებისა, წიგნის ბეჭდვის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს საგრძნობი ნაკლოვანებები, რომლებიც გამომცემლობებისაგან მოითხოვენ მეტი ყურადღებით მოეპყრან წიგნის გაფორმების საკითხებს. ხშირია ფაქტები, როდესაც ჩვენი გამომცემლობები კმაყოფილდებიან რიცხობრივი მაჩვენებლებით და უყურადღებოდ სტოვებენ წიგნის გარეგნულად გაფორმებას.

საბჭოთა მკითხველის კულტურული დონე იმდენად გაზრდილია, რომ საჭიროა მივცეთ მას არა მარტო კარგი შინაარსის, არამედ შესაფერისად გაფორმებული წიგნი.

ლეონიდე ჯიბლაძე

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორი

საბჭოთა გაზეთს

სტალინურ სიტყვით ნაჭედო,
გაზეთო ოქროს ფრთიანო,
მშრომელი ხალხის მოღვაწევ
ლაღო და ამაგიანო.

ბრძოლებში დაბადებულო,
მიწის ხვრელებში ნატარო,
სტალინურ ზრუნვით ნამრავლო,
ლენინის ნამოღვაწარო.

ლენინის გულში დაირწო
პირველად შენი აკვანი
და გახდი საკაცობრიო
მსაზრდოებელი საგანი.

მშრომელი ხალხის სამურ
ცხოვრების შემამკობელი,
გონების გამნათლებელი
და სულის დამატკბობელი.

ელექტროდენის შუქივით
ჩვენს გულში გამნათებელი,
პურივით მოსაშიები
წყალივით სანატრებელი.

სტალინის ბრძნობით სავსეა
შენი სტრიქონი ყოველი,
დიდ კომუნიზმის შენების
გამარჯვებების მქსოველი.

შენი ღვაწლია, ჩემს გლეხურ
გულში რომ იძვრის აზრები,
შემოვლილი გაქვს მთლიანად
მთელი საბჭოთა საზღვრები.

შენს ფრთის ქნევაზედ სულს
ლაფავს
კაპიტალიზმი სნეული,
მომაკვდავ ფაშიზმის თავზე
ხმალი ხარ შემოქნეული.

კვლავ იყავ ლენინ-სტალინის
მზის შუქად ჩაუქრობელი,
დედის რძესავით სასმელი
ზღვასავით დაუშრობელი.

კოლმეურნე **ს. ჩანგაშვილი**

ს. სიმონგულოვი
ე. ზასიევა

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის
უფროსი მეცნიერი თანამშრომლები

ბოლშევიკური პრესის უძვირფასესი კერა

(ავლაბრის არალეგალური სტამბა)

„მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში „მესამე დასის“ უმცირესობა — ი. ბ. სტალინი, ლ. კეცხოველი და ა. წულუკიძე — არალეგალურ პრესას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური აგიტაციის წარმოების საქმეში, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა და ნამდვილად პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობის საქმეში.

1898 - 1901 წლებში ამიერ-კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა „მესამე დასის“ უმცირესობა ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აწყობენ ბეჭდვას და ამიერ-კავკასიის რაიონებში გავრცელებას ფურცლებისა, მოწოდებებისა და პროკლამაციებისას, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ლენინური იდეების პროპაგანდის საქმეში, ახალი ტიპის პარტიის შექმნაში და რევოლუციური მასების ამხედრების საქმეში მეფისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1900 წელში ლ. კეცხოველი თბილისის სოც.-დემოკრატიული ჯგუფისა და პირადად ი. ბ. სტალინის დავალებით არალეგალური მუშაობისათვის გადადის თბილისიდან ბაქოში.

1901 წ. დამდეგს ლ. კეცხოველმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოში მოაწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ-ისკრული მიმართულების გაზეთი „ბრძოლა“ და ხდებოდა გამრავლება ლენინური „ისკრისა“.

ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მუშაობის უდიდესმა ზრდამ კავკასიის ისკრელების წინაშე დააყენა საკითხი დიდი არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ.

1903 წ. მარტში მოწვეულ იქნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელიც შეუერთდა ლენინურ „ისკრას“. ყრილობამ კავკასიის კავშირის პირველი კომიტეტის შემადგენლობაში დაუსწრებლად აირჩია ი. ბ. სტალინი, რომელიც მაშინ იმყოფებოდა პატიმრობაში ბათუმის საპყრობილეში. ყრილობამ გააერთიანა ქართული გაზეთი „ბრძოლა“ და სომხური გაზეთი „პროლეტარიატი“, გახადა იგი კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოდ და უწოდა „პროლეტარიატის ბრძოლა“. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოსვლა დაიწყო 1903 წელს.

ბათუმის საპყრობილიდან ქუთაისის საპყრობილეში გადაყვანის შემდეგ, 1903 წლის ზაფხულში, ი. ბ. სტალინმა დავალება მისცა ამხანაგებს და უშუალოდ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრს მიხო ბოჭორიძეს მოეწყოთ მძლავრი არალეგალური სტამბა.

ი. ბ. სტალინის დავალების მიღებისთანავე მიხო ბოჭორიძე შეუდგა საქმეს. ძველ მოწინავე მუშას დავით როსტომაშვილს მან მიანდო აელო იჯარით ქალაქის გარეუბანში, ავლაბარში (ნავთლუღის მახლობლად), მიწის ნაკვეთი. 1903 წლის სექტემბერში დ. როსტომაშვილმა მიიღო ქალაქის მმართველობის ნებართვა მიწის იჯარით აღების შესახებ.

ამის შემდეგ მან შეიტანა განცხადება ამ ნაკვეთზე ოროთახიანი სახლის აშენების შესახებ. განცხადებას დართული ჰქონდა მ. ბოჭორიძის მიერ შედგენილი ფიქტიური გეგმა მშენებლობისა. ამ ფორმალობათა დამთავრების შემდეგ მ. ბოჭორიძე შეუდგა საქმეს. მან დაიწყო სტამბის შესასვლელების გაკეთება ჭების საშუალებით.

მშენებლობაზე მუშაობდნენ შემოწმებული მოწინავე ბოლშევიკი მუშები, სადურგლო სამუშაოზე — ზაქარია ჩოდრიშვილის ძმები: მიხა, ვანო, სანდრო და გიორგი ჩოდრიშვილები, კედლების ამოყვანაზე — ძმები მირიმან და გიორგი მაღრაძეები და სხვ. შენობის დამთავრების შემდეგ სახლში ცხოვრობდა მიხო ბოჭორიძის მამიდა — ძველი ბოლშევიკი ქალი ბაბე ბოჭორიძე - ლაშაძე.

1904 წლის 5 იანვარს ი. ბ. სტალინი გადასახლებიდან (ირკუტსკის გუბერნია, ბალაგანსკის მაზრა, სოფელი ნოვაია უდა) გამოიქცა, 1904 წლის თებერვალს არალეგალურად თბილისს დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ჩამოვიდა რა გადასახლებიდან და სათავეში ჩაუდგა კავკასიის კავშირის კომიტეტს, ი. ბ. სტალინი ამზადებს ბოლშევიკური პროპაგანდისტების კადრებს, აცნობს მათ პარტიის II ყრილობაზე წამოჭრილ უთანხმოებათა მიზეზებს და მენშევიკების შემოტევის რეალურ საფრთხეს, აწყობს ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის ამუშავებას და მისი საშუალებით ძლიერ აფართოვებს კავკასიის კავშირის საგამომცემლო მუშაობას, სისტემატურად დაიარება ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და რაიონებში, სადაც აწყობს სიტყვიერსა და ბეჭდვითს დისკუსიას მენშევიკების წინააღმდეგ და მგზნებარეთ იცავს ლენინის შეხედულებებსა და პარტიის II ყრილობის ლენინურ გადაწყვეტილებებს.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურმა სტამბამ მუშაობა დაიწყო 1904 წლის თებერვლიდან. სტამბაში იბეჭდებოდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რომლებიც გამოდიოდა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ამიერ-კავკასიის ხალხთა ენებზე (ქართულსა, რუსულსა და სომხურზე) დაიბეჭდა და დიდი ტირაჟით გამოიცა ვ. ლენინის მთელი რიგი ნაშრომები.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1905 წლის დამდეგს გამოსცა ვ. ი. ლენინის უძვირფასესი ბროშურა „სოფლის ღარიბ ღატაკებს“ ქართულ ენაზე (3 ათასი ცალი). ვ. ი. ლენინის ამ ბროშურის ქართულ გამოცემას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გლეხობის რევოლუციური აღზრდის საქმეში.

1905 წლის ზაფხულში კავკასიის კავშირის კომიტეტმა ბროშურის სახით გამოსცა ქართულ და სომხურ ენებზე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო წერილი „ცნობა რსდმპ მესამე ყრილობის შესახებ“, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ.

ამავე ბროშურაში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები, მიღებული III ყრილობაზე. მაგალითად: „შეიარაღებული აჯანყების შესახებ“, „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“, „გლეხთა მოძრაობის შესახებ“, „კავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ“ და სხვ.

ამავე წელს კავკასიის კავშირის კომიტეტმა პარტიის ცენტრალური ორგანო „ვპერიოდის“ № 14-დან გადმობეჭდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მოწინავე სტატია „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“ და ცალკე ბროშურად გამოსცა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე დიდი ტირაჟით.

კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოში — „პროლეტარიატის ბრძოლაში“, რომელიც ავლაბრის სტამბაში იბეჭდებოდა, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გადმობეჭდილ იქნა ვ. ი. ლენინის უძვირფასესი სტატიები: „III ყრილობა“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 9, რუსულზე — № 1 და სომხურზე — № 6), „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 10, რუსულზე — № 2 და სომხურზე—№ 7).

1905 წლის 20 ივლისს რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა გამოსცა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ფურცელი „სამი კონსტიტუცია ანუ სამგვარი სახელმწიფოებრივი წესწყობილება“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

1906 წლის დამდეგს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადმობეჭდა რსდმპ პირველი (ტამერფორსის) კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხზე, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ, და რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, გამომუშავებული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მონაწილეობით.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ამიერ-კავკასიის ხალხთა ენებზე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი ნაწარმოებები.

1905 წლის ზაფხულში ამ სტამბაში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის ცნობილი წიგნი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებებზე“ ქართულ ენაზე (2000 ეგზ.), რუსულ ენაზე (1500 ეგზ.) და სომხურ ენაზე (1500 ეგზ.). ი. ბ. სტალინის ამ ნაშრომმა უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ლენინის იდეების ბრწყინვალე დაცვისა და ახალი ტიპის პარტიის შექმნის საქმეში.

1906 წლის იანვარში დაიბეჭდა აგრეთვე ი. ბ. სტალინის ბროშურა „ორი შეჯახება“. ამ ბროშურაში ი. ბ. სტალინი ლენინურად ამხელს მენშევიკების პორაჟენცულ - გამცემლურ პოზიციას შეიარაღებულ აჯანყების ორგანიზაციის საქმეში და ასაბუთებს პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების დასამხობად.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოში — „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები, მაგალითად: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 7, სომხურზე—№ 4), „მესამე ყრილობა კავკასიის მენშევიკების სამსჯავროს წინაშე“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 9, რუსულზე — № 1 და სომხურზე № 6), „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 10, რუსულზე № 2 და სომხურზე № 7), „სადღეგრძელოთი დაიწყეს და შესანდობარით გაათავეს“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 11, რუსულზე— № 3 და სომხურზე — № 8), „პასუხი სოციალ-დემოკრატს“ (ქართულზე— № 11, რუსულზე — № 3 და სომხურზე № 8), „რეაქცია მწვავდება“ („პროლეტარიატის ბრძოლა“ ქართულ ენაზე № 12, რუსულზე— № 4 და სომხურზე № 9) და სხვ.

ამავე სტამბაში იბეჭდებოდა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები, მოწოდებანი, ფურცლები, როგორიც მაგალითად, „დროა შური ვიძიოთ“, „კავკასიის ყველა მუშებს“, „რა გამოირკვა?“, „ამხანაგო ჯარისკაცებო“ და სხვ.

ამავე სტამბაში ამიერ-კავკასიის ხალხთა ენებზე დაიბეჭდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ რედაქტირებული მრავალი ბროშურა, სტატია, პროკლამაცია, მოწოდება და სხვა პარტიული ლიტერატურა.

პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებული იყო კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო მუშაობის გაფართოებით, რაზედაც რსდმპ ცენტრალური ორგანოს გაზეთ „პროლეტარის“ რედაქცია, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, 1905 წლის 16 მარტის № 2-ში სწერდა:

„მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო მოღვაწეობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს, კავკასიაში პარტიულობის აღდგენის საქმეში“.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პარტიული ლიტერატურა ვრცელდებოდა საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში კავკასიის კავშირის კომიტეტის სპეციალური აგენტების საშუალებით. ბოლშევიკური პროპაგანდისტები — მუშები და გლეხები, რომლებიც მუშაობდნენ თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხონში, ქართლში, კახეთში, ელიზავეტპოლში, ერევანში, ალექსანდროპოლში და სხვა ადგილებში, უხვად მარაგდებოდნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომებით, აგრეთვე დანარჩენი პარტიული ლიტერატურით, რომელსაც სცემდა კავკასიის კავშირის კომიტეტი და რომელიც იბეჭდებოდა ავლაბრის სტამბაში.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით არალეგალურ მუშაობასთან ერთად იყენებს მუშაობის ლეგალურ შესაძლებლობებსაც; ამის შედეგად 1905 წლის 20 ნოემბრიდან ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით დაიწყო გამოსვლა ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთებმა, როგორიც იყო კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“. ამის შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით ავლაბრის არალეგალურმა ბოლშევიკურმა სტამბამ დროებით შესწყვიტა მუშაობა.

1905 წლის დამლევს ი. ბ. სტალინის დავალებით მ. ბოჭორიძემ სტამბის სახლში მოაწყო სამხედრო ინსტრუქტორთა მომზადების წრის მეცადინეობა. მასწავლებლად მოწვეული იყო ვინმე გურჯიევი, რომელმაც თავიდანვე გამოამჟღავნა ამ საქმის არცოდნა. მ. ბოჭორიძემ ეჭვი აიღო და მაშინვე დაითხოვა იგი.

მ. ბოჭორიძემ დროზე შეამჩნია ჯაშუშები, რომლებიც სტამბას უთვალთვალებდნენ, რის შემდეგ ი. ბ. სტალინის მითითებით სტამბის მუშაკებმა მაშინვე დაიწყეს ბინის ლიკვიდაცია. ყველა ნივთები გადატანილ იქნა სხვა ადგილას, ხოლო თვალის ასახვევად ფანჯრის მინაზე გააკრეს განცხადება: „ეს სახლი ქირავდება“. მეორე დღესვე, 28 (15) აპრილს, სახლს თავს დაესხნენ ჟანდარმერია და ყაზახები. გაჩხრიკეს მთელი შენობა, გადააბრუნეს ყველაფერი, მაგრამ არსებითი ვერაფერი იპოვნეს, და უკვე წასვლას აპირებდნენ, როდესაც ჟანდარმის ერთერთმა ოფიცერმა ჩააგდო ჭაში ანთებული ქაღალდი. ცეცხლი არ ჩაქრა და ჰაერის წევამ ქაღალდი გვირაბისაკენ წაიღო. ამ გარემოებამ ეჭვი აღძრა; შეშინებულმა ჟანდარმებმა ვერ გაბედეს ჭაში ჩაშვება და ამიტომ დაიწყეს სარდაფის იატაკის თხრა. მათ ძლივსძლივობით მოახერხეს მეხანძრეების ჩაშვება გვირაბამდე და ამგვარად აღმოაჩინეს სტამბა. სტამბის აღმოჩენის შესახებ მაშინვე აცნობეს პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს. ქალაქში გამოცხადებული იყო სამხედრო წესები. საბეჭდი მანქანა გადაიტანეს სამხედრო ოლქის შტაბში ცირკულარების საბეჭდად, ხოლო სახლი დაანგრიეს საარტილერიო ცეცხლით. იმავე ღამეს დაიწყო მასობრივი დაპატიმრება. დააპატიმრეს მიხო ბოჭორიძე და სხვები.

ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ინიციატივით ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა 1937 წელს რესტავრირებულ იქნა წინანდელი სახით.

◆

უცხოეთის პრესის გამოხმაურება მოსკოვში გამართული საპირველმაისო პარადისა და დემონსტრაციის შესახებ

ა. შ. შტატები

ნიუ-იორკი, 3 მაისი (საქდესი). ამერიკული პრესა ვრცელ ცნობებს ათავსებს წითელი არმიის პარადის, ამხ. ვოროშილოვის სიტყვის, წითელ მოედანზე გამართული საპირველმაისო დემონსტრაციისა და ამხ. ვოროშილოვისა და კუზნეცოვის ბრძანებათა შესახებ.

მოსკოველი კორესპონდენტები თავიანთ ცნობებში ხაზგასმით აღნიშნავენ იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა წითელი არმიის პარადმა, განსაკუთრებით კი ტანკებისა და თვითმფრინავების დემონსტრაციამ.

ჩინეთი

ჩუნცინი, 3 მაისი (საქდესი). გუშინ გაზეთმა „დაგუნბაომ“ მოათავსა გამოხმაურება ამხანაგ ვოროშილოვის მიერ საპირველმაისო პარადზე წარმოთქმულ სიტყვაზე. გაზეთი სწერს: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის აგრესორებისათვის სერიოზული გაფრთხილებაა ვოროშილოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ მსოფლიოში არსებობს დიდი სოციალისტური ქვეყანა, რომლის საუცხოოდ შეიარაღებული სამხედრო ძალები გმირულად იცავენ საბჭოთა საზღვრებს, და რომ ეს სამხედრო ძალები მზად არიან მოსპონ ომის გამჩაღებლები, თუ ისინი საბჭოთა მიწა-წყალზე თავდასხმას გაბედავენ“.

სკანდინავია

სტოკჰოლმი, 3 მაისი (საქდესი). მუშური პრესა იუწყება, რომ წითელ მოედანზე გაიმართა ყველა სახის იარაღის მძლავრი საპირველმაისო პარადი და მოეწყო დემონსტრანტების დიდებული მსვლელობა ლენინის მავზოლეუმთან.

დეზერტირობა გერმანიის არმიაში

ანტიფაშისტური პრესა იუწყება, რომ, გაძლიერებულ საომარ მზადებასთან დაკავშირებით, გერმანიის არმიაში, ისევე როგორც გასული წლის სექტემბერში, შემჩნეულია მასობრივი დეზერტირობა. გერმანელი ჯარისკაცები გარბიან ლოტარინგიაში, ბელგიაში, შვეიცარიასა და პოლონეთში. უკანასკნელ კვირათა განმავლობაში სილეზიის საზღვრით პოლონეთში გაიქცა 180 გერმანელი ჯარისკაცი, ხოლო აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრით—300 გერმანელი ჯარისკაცი.

ამავე დროს პრესა იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში დიდი ტექნიკური მოუწყობლობაა. მაგალითად, როცა ესპანეთის წყლებში გემების ესკადრას გზავნიდნენ, ერთი გემი ჯერ კიდევ არხის გავლამდე მწყობრიდან გამოვიდა მანქანათა დეფექტების გამო. მთელმა რიგმა გემებმა სისწრაფე დაჰკარგეს, რის შედეგადაც ესკადრის საბრძოლო წყობა დაირღვა.

უკმაყოფილების ზრდა ესპანეთში გერმანია-იტალიის ძალადობის გამო

ლონდონი, 3 მაისი (საქდესი). როგორც ინგლისის პრესა იუწყება იზრდება ესპანელი ხალხის უკმაყოფილება იმის გამო, რომ ესპანეთში სულ უფროდაუფრო ძლიერდება გერმანელთა და იტალიელთა ძალადობა. ინგლისის კორესპონდენტები, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს ტექნიკოსებისა და ინჟინრების სახით გერმანიიდან ესპანეთში მოვიდა დაახლოებით 5 ათასი გერმანელი. ჩამოსული გერმანელები, იუწყება „ივნინგ სტანდარტის“ მადრიდელი კორესპონდენტი, პატარ-პატარა ჯგუფებად გაემგზავრნენ ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებში. კვლავ დიდძალი იტალიელი მოდის. გერმანელთა და იტალიელთა ძალადობით გამოწვეული უკმაყოფილება, სწერს „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი, განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ესპანეთის ხალხის ფართო მასებში. იუწყებიან, რომ, როდესაც გერმანიის ჯავშნოსანი „დოიჩლანდი“ მალაგაში იდგა, ესპანელთა მაღაზიების გამყიდველებმა უარი სთქვეს გერმანელი მეზღვაურებისათვის საქონლის მიყიდვაზე.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი ბორდოდან იუწყება, რომ ამ დღეებში ვალიადოლიდში მოსპეს ათასობით საქმე, რომლებიც გენერალ ფრანკოს ხელისუფალთა მიერ იყო აღძრული „პოლიტიკურად არასაიმედო“ პირთა წინააღმდეგ. კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება, რომ სურსათის მწვავე ნაკლებობის ნიადაგზე, ბარსელონასა და ხერონში სერიოზულმა მღელვარებამ იფეთქა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საქდესის ჩუნცინელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ნანჩანის დასავლეთით ბრძოლა სწარმოებს ქალაქიდან 8 კილომეტრის დაშორებით. აქ იაპონელებს ახალი დამხმარე ძალები მოუვიდათ. ფინსინის სექტორში მდგომარეობა უცვლელია. ნანჩანის სამხრეთით და აღმოსავლეთით იაპონელები ცდილობენ ხელთ იგდონ ინიციატივა და შეტევაზე გადავიდნენ.

ხანკოუს ჩრდილო - დასავლეთით იაპონელებმა შეტევა დაიწყეს ჩინელთა პოზიციების წინააღმდეგ ინშანისა და მაპინძიანის რაიონში. ბრძოლა გრძელდება ჯუნსიანის მახლობლად, სადაც შეტევას აწარმოებს 3 ათასი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა ჯარი 50 ქვემეხითა და 20 ჯავშნიანი ავტომობილით. 30 აპრილს ამ რაიონში იაპონელთა რაზმმა, 2 ათასი კაცის შემადგენლობით, სცადა მდინარე ხანზე გადასვლა, მაგრამ ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 1 მაისს იაპონელთა რაზმმა სცადა მდინარე ხანზე გადასვლა შაიანის რაიონში.

ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში პირველ მაისს იაპონელთა რაზმმა 400 კაცის შემადგენლობით ავიაციისა და არტილერიის დახმარებით შეტევა დაიწყო ჩინელთა პოზიციების წინააღმდეგ. შეტევა მოგერიებულ იქნა 8-საათიანი ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც იაპონელებს 100 კაცი მოუკლეს.

ხანკოუს სამხრეთ-დასავლეთით, იოჯოუს რაიონში, ჩინეთის ჯარი უტევს იანლოუსის სადგურს.

სამხრეთ ჩინეთში

კანტონის სამხრეთ-დასავლეთით შეუპოვარი ბრძოლა გრძელდება ქალაქ ხეშანის რაიონში. სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 3 მაისი (საქდესი). 1 მაისს დღის 2 საათსა და 50 წუთზე აკიტის პრეფექტურაში (ხონსიუს კუნძულის ჩრდილო - აღმოსავლეთი ნაწილი) მოხდა საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა. მიწისძვრის შედეგად აკიტისა და აომორის პრეფექტურებს შორის შესწყდა სარკინიგზო და სატელეფონო კავშირი. ადგილობრივ ხელისუფალთა ცნობებით, მიწისძვრამ სავსებით მოსპო და ნაწილობრივ დააზიანა 1.650 სახლი. მოკლულია 18 და დაშავებულია 28 კაცი; უგზოუკვლოდ დაიკარგა 6 კაცი. აიკავას რაიონში ოგას ნახევარკუნძულზე ნიადაგის შერყევის გამო ზღვაში ჩაიძირა 70 სახლი. სეისმოლოგიური ბიუროს ცნობებით, მიწისძვრის ეპიცენტრი იაპონიის ზღვაში იმყოფება. აკიტის რაიონში 2 მაისსაც გრძელდებოდა მიწისქვეშა ბიძგები.

ხმები სლოვაკიის უნგრეთთან შეერთების შესახებ

პრაღა, 3 მაისი (საქდესი). უცხოელ ჟურნალისტთა წრეებში გაცხოველებით მსჯელობენ იმის შესახებ, რომ თითქოს მოსალოდნელია სლოვაკიის შეერთება უნგრეთთან. ეს ხმები გაძლიერებით ვრცელდება სლოვაკიაშიც. ჰფიქრობენ, რომ უნგრეთის პრემიერ ტელეკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჩაკის მუსოლინისთან შეხვედრის დროს, რაც ამასწინათ მოხდა, მოლაპარაკების ერთერთი პუნქტი იყო უნგრეთთან სლოვაკიის შეერთების საკითხი.

ფრანგი მფრინავის გადაფრენის გამო

პარიზი, 2 მაისი (საქდესი). კალკუტიდან მიღებულია ცნობა, რომ ფრანგი მფრინავი დენი, რომელსაც განზრახული ჰქონდა დაემყარებინა პარიზიდან საიგონამდე ჩქარი გადაფრენის ახალი რეკორდი, იძულებული გახდა დაშვებულიყო 50 კილომეტრზე მიდნაპურის სამხრეთ-დასავლეთით (100 კილომეტრზე კალკუტის დასავლეთით).

პრესის ცნობით, მფრინავი ცოცხალი და უვნებელია.

იაპონელთა ზარალი

ჩუნცინი, 2 მაისი (საქდესი). ოფიციალური ცნობებით, აპრილის მეორე ნახევარში ჩინეთის ყველა ფრონტზე გაიმართა 504 ბრძოლა, რომელთა შედეგად მოკლულია 31.665 იაპონელი. ამ დროის განმავლობაში ჩინეთის ჯარმა იაპონელებს წაართვა 52 ტყვიამფრქვევი, 21 ქვემეხი, 1.456 შაშხანა, 375 ცხენი და საომარი მასალა. მოსპობილი და დაზიანებულია იაპონელთა 96 ჯავშნიანი მანქანა და ტანკი, ჩაძირულია 3 გემი.

ჩინელმა პარტიზანებმა მოწინააღმდეგის ზურგში დაანგრიეს 56 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი და 76 კილომეტრი გზატკეცილი.

იაპონელებმა ყველაზე დიდი ზარალი ნახეს შანსის პროვინციაში, სადაც გაიმართა 135 ბრძოლა, რომელთა შედეგად იაპონელებმა 12.169 კაცი დაჰკარგეს.

ფაშისტური ტერორი მადრიდში

პარიზი, 3 მაისი (საქდესი). როგორც პარიზის პრესა იუწყება, მადრიდში ამჟამად მასობრივ რეპრესიებს მიმართავენ ესპანეთის რესპუბლიკური არმიის ყოფილი მებრძოლების წინააღმდეგ. მადრიდში განუწყვეტლივ მოქმედებს 20 სამხედრო სასამართლო, რომელსაც ყოველდღე გამოაქვს ასობით განაჩენი. ამავე დროს ხალხს ყოველდღე ასობით აპატიმრებენ.

სტამბა „კომუნისტი“ გადავიდა ახალ ბინაზე-ლენინის ქუჩა № 28

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის ახალი შენობა.
ფოტო რ. აკოფოვის.

ბათუმის მშრომელთა დემონსტრაცია

ბათუმი, (საკ. კორ.). საყოველთაო - სახალხო ზეიმით აღნიშნეს ბათუმის მშრომელებმა მუშათა საერთაშორისო დღესასწაული — 1 მაისი.

რევოლუციის მოედანზე აღმართულ ტრიბუნაზე თავი მოიყარეს აჭარის პარტიული ორგანიზაციებისა და მთავრობის ორგანოების ხელმძღვანელებმა. მათ შორის იყვნენ — ამხ. **მ. ბარამია, ფუტკარაძე, კოჭლავაშვილი, კორძაია, დავითაძე, ტოგონიძე, ჯიბლაძე, შაშიკაშვილი, ბეჟანიძე** და სხვ.

დემონსტრაცია დაიწყეს ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის მუშებმა. ბათუმელი ნავთის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლონები მოდიოდნენ ახალ საწარმოო გამარჯვებათა მაჩვენებლებით, დროშებით და სიმღერით. მათ მოჰყვებოდნენ წყლის ტრანსპორტის მუშები, ფიზკულტურელები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ხელოვნების მუშაკები. ორკესტრთა გუგუნსა და საზეიმო შეძახილებში მოისმოდა ხალხის მძლე ხმა დიდი **სტალინის** საპატივსაცემად.

— გაუმარჯოს ხალხთა ბელადს—დიდ **სტალინს**.

3 საათზე მეტს გაგრძელდა ბათუმის მშრომელთა დემონსტრაცია. ეს იყო დემონსტრაცია მთელი ხალხის დარაზმულობისა ლენინ - სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გარშემო.

ქ. დოგორჯგინიძე

სახალხო დღესასწაული გორში

გორი, (საკ. კორ.). ბელადის სამშობლო ქალაქის—გორის მშრომელებმა უჩვეულო სიხარულით აღნიშნეს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ძალების დათვალიერების დღე — პირველი მაისი.

დროშებით მორთული ქუჩები დილიდანვე გაამხიარულეს დემონსტრანტებმა.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ წითელი პლაკატები და დროშები, პროლეტარიატის დიდი ბელადების მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტები.

გორის მშრომელები მღეროდნენ მსოფლიოში ერთადერთ სოციალისტურ ქვეყანაზე — ჩვენს სამშობლოზე, წითელი არმიის ძლიერებაზე და გმირობაზე; ხალხი მღეროდა დიდ სტალინზე, რომელმაც საბჭოთა ხალხს მისცა თავისუფალი, ლაღი და საამური ცხოვრება.

პირველი მაისობა გორის მშრომელების სახალხო დღესასწაული იყო.

ს. ყურაშვილი



გორი. პირველმაისობა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის სამშობლოში.
სურათზე: ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის რკინიგზის საშუალო სკოლის პიონერები ი. ბ. სტალინის სახლთან.
საქდესის ფოტოქრონიკა

ალ. მაშაშვილის „ლექსები და პოემები“

გამოვიდა და იყიდება ორდენოსანი პოეტის ამხ. **ალიო მაშაშვილის** ლექსებისა და პოემების ახალი წიგნი. წიგნში მოთავსებულია 58 ლექსი და სამი პოემა.

წიგნი შეიცავს 4 განყოფილებას — ჰიმნი სამშობლოს, განვლილი გზა, სატრფიალონი და პოემები; დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და გაფორმებულია ლამაზად (მხატვარი ა. გრიგოლია).

სამაისო საჩუქარი 26 კომისრის ქარხნის მუშებს

„საქქარხმშენმა“ პირველად თბილისში ჩქარი მშენებლობის მეთოდით (მონტინის ქ. № 15) 26 კომისრის სახელობის ქარხნისათვის ააგო ორსართულიანი საბავშვო სახლი, სადაც 75 ბავშვი მოთავსდება.

საბავშვო სახლის მშენებლობა დაიწყო 10 აპრილს და უნდა დამთავრებულიყო 160 საათის განმავლობაში, ე. ი. 7 მაისს. მშენებელთა კოლექტივმა იკისრა სახლის 1 მაისისათვის დამთავრება. ფაქტიურად მშენებლობა მთლიანად დაამთავრეს 29 აპრილს, 123 საათის განმავლობაში.

სახლის აშენება 150 ათასი მანეთი დაჯდა. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი **გ. თვალავაძე**, სამუშაოთა მწარმოებელი იყო **ა. ცისკაძე**. სწრაფი მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრებისათვის საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. გორდეზიანის ბრძანებით დაჯილდოვებული არიან მშენებლობის მოწინავე სტახანოველები და მუშები.

წერილი ესპანელი ბავშვებისაგან

გორი, 4 მაისი (საქდესი). გორელმა პიონერებმა მიიღეს წერილი ესპანელი ბავშვებისაგან, რომელნიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ და სწავლობენ. ესპანელი ბავშვები გორელ პიონერებს სწერენ: გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში“ წავიკითხეთ თქვენი წერილი ხალხთა დიდი ბელადის სტალინისადმი. ამ წერილიდან შევიტყვეთ, რომ თქვენ მიწერ-მოწერა გაქვთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის პიონერებთან და ჩვენც გადავწყვიტეთ დავამყაროთ კავშირი დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სამშობლო ქალაქის პიონერ-მოსწავლეებთან“.

შემდეგ წერილში ესპანელი ბავშვები სწერენ, რომ საბჭოთა კავშირში მათ ნამდვილი სამშობლო ჰპოვეს. ისინი დაუღალავად მეცადინეობენ და მიაღწიეს იმას, რომ მათ შორის აღარ არიან ჩამორჩენილნი.

გორის სკოლების პიონერები და მოსწავლეები აღფრთოვანებით ეცნობიან ესპანელი ბავშვების წერილს და ამზადებენ პასუხს.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეათე ტური

მეათე ტურის პარტიებში კოტოვმა მოუგო ტოლუშს. რაგოზინ-ჩისტიაკოვის და პანოვ - იუდოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ბოტვინიკს და ლევენფიშს მოგებული მდგომარეობა აქვთ კანისა და ბონდარევსკის წინააღმდეგ. რაბინოვიჩს უკეთესი მდგომარეობა აქვს მაკაგონოვთან და ჩეხოვერს რომანოვსკისთან. დუბინინ - ლისიცინის პარტია გადაიდო თანასწორ მდგომარეობაში. პოგრებისკის წაგებული მდგომარეობა აქვს ბელავენეცთან.

გადადებული პარტიების დამთავრება

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რაც 30 აპრილს შესდგა, გროსმეისტერმა ბოტვინიკმა მოუგო კანს და ყაიმი გააკეთა ბელავენეცთან. ბონდარევსკი დამარცხდა ლისიცინთან. უკანასკნელმა თავის მხრივ წააგო ბელავენეცთან და ყაიმით დაამთავრა დუბინინთან. ჩეხოვერმა მოუგო ტოლუშს. კან-დუბინინის პარტია ყაიმით დასრულდა.

მეთერთმეტე ტური

მეთერთმეტე ტურის ცენტრალური პარტია მაკაგონოვ - ბონდარევსკისა ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დასრულდა აგრეთვე ლისიცინის და გროსმეისტერ ბოტვინიკის პარტია. დუბინინმა მოუგო ჩისტიაკოვს და კანმა პანოვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ტოლუშს მოგებული მდგომარეობა აქვს იუდოვიჩთან, ჩეხოვერს და რაგოზინს მოგების შანსი აქვთ რაბინოვიჩისა და პოგრებისკის წინააღმდეგ.

2 მაისს დამთავრებულ იქნა წინა ტურებიდან გადადებული კოტოვისა და პოგრებისკის პარტია, რომელიც პირველის გამარჯვებით დამთავრდა. თერთმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: ბოტვინიკი—7½ (1 გად.), კოტოვი—6½ (3 გად.).

რადიო დღეს

დღეს, 5 მაისს, დილის 11 საათიდან გადაცემული იქნება: თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 11 ს. 20 წ.—სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები (გრამოფონური მუსიკა); 11.55 — ინფორმაციები; 12.00—გადაცემა დიასახლისთათვის სომხურ ენაზე; 12.15—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება ქართულ ენაზე; 17.00—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.05—პოპულარული მუსიკის კონცერტი (გრამოფონური მუსიკა); 17.35 — ინფორმაციები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე — „ბედნიერი ახალგაზრდობა“; 18.10—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე; 18.58 — დროის შემოწმება; ტრანსლაცია მოსკოვიდან; 19.00 — კონცერტი (ასრულებს საქ. რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრი); 19.50 — ინფორმაციები; 20.00 — საუბრები ქართულ ენაზე: 1. ბოლშევიკური პარტიის მებრძოლი ორგანო, 2. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი. 20.50 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე: ნაწყვეტები ოსტროვსკის რომანიდან „ქარიშხლის შობილნი“. 21.50—კონცერტი. ტრანსლაცია; 23.25—„პრავდის“ მოწინავე.

დ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისა, მომხსენებლებისა, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

5/V წარმოდგენა 179	6/V წარმოდგენა 180	8/V წარმოდგენა 181
ოტელო	ოტელო	მთაგრეხილზე

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

5/V	მათი ამბავი
6/V	შური
8/V	დები ჟერარ

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

5/V	6/V	8/V
მუდმ. ადგ. ტალ. № 160	მუდმ. ადგ. ტალ. № 161	მუდმ. ადგ. ტალ. № 162
დარეჯან ცბიერი	ტრავიატა	დაისი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სახცირკი, ტელ. 3-11-44 დღეს
დიდი წარმოდგენა. საატრაქციონო პროგრამა.
ჩინური ხალხური ცირკის ვან იუ-ლის გასტროლები
განახლებული პროგრამა. ახალი ილუზიების დემონსტრაცია.
დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ. სალარო 12 ს-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან
ამ დღეებში ძალოსან რეკორდსმენის რ. იუსუპოვის გასტროლები.
6 მაისს ორი წარმოდგენა დღისით. 12 მაისს სეზონის დახურვა.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის
სრულიად-საკავშირო დაუსწრებელი ფინანსიურ-ეკონომიური ინსტიტუტი („ვზინო“) საქართველოს ფილიალი

სრულიად - საკავშირო დაუსწრებელი ფინანსიურ - ეკონომიური ინსტიტუტი („ვზინო“) უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტ-ფინანსისტებს, ეკონომისტებს კრედიტის განხრით და ეკონომისტ-ბუხჰალტრებს და რომელსაც აქვს ფაკულტეტები: 1) ფინანსებისა და კრედიტის და 2) სააღრიცხვო-ეკონომიური.

„ვზინოს“ საქართველოს ფილიალს აქვს ორი სექტორი: ქართული და რუსული.

კურსდამთავრებულნი მიიღებენ დიპლომს და სტაციონარული ფინანსიურ-ეკონომიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა ყველა უფლებას.

სწავლება უფასოა. სწავლების ვადა — 5 წელი.

ინსტიტუტში მიღებული იქნებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ საშუალო სკოლის (ათწლედის), მუშფაკის ან ტექნიკუმის სრული კურსის დამთავრების ატესტატი.

ინსტიტუტში შემსვლელნი გაივლიან გამოცდებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში, აგრეთვე ერთერთ უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული). ქართულ სექტორზე შემსვლელნი დამატებით ჩააბარებენ გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

გამოცდების ჩაბარება დასწრებითი წესით სწარმოებს.

განცხადებები ძიღების შესახებ მიიღება 1 მაისიდან 1 აგვისტომდე „ვზინოს“ საქართველოს ფილიალის კანცელარიაში (თბილისი, კეცხოველის ქ. № 7, საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შენობა).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 31 აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვა — 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

590 „ვზინოს“ საქართველოს ფილიალი.

დედა თამაშა, დები მარო, კატუშა, კვირკველიები იუწყებიან, რომ 6/V 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი
ელენე კვირკველია-ძინძიბაძის
და პატარა ზაზა და ელვანოს
პანაშვიდი. 1645

ექიმები ვ. ბოლქვაძე და ვ. გიორგობიანი ცოლშვილით თანაგრძნობას უცხადებენ საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანს ამხ. პაქსაშვილს მისი ცოლისდის
ანა საყვარელიძის
გარდაცვალების გამო. 1667

უახლოესი მეგობრები დანილევიჩი, კოჭლავაშვილი, ვერეჟენკო, ღლონტი, სიხარულიძე, კაჭკაჭიშვილი, ოქროპირიძე, დავლიანიძე, კაპიტანოვი, მანდინოვი, მგალობლიშვილი, ანთაძე მერმანიშვილი, ტყემალაძე იუწყებიან ამხანაგ ვალოდიას მამის
პეტრე მარგიშვილის
გარდაცვალებას. 1674

მშობლები ქსენია, ამბერკი, ბებიები ანეტა, ოლინკა, მამიდა ტასო, დეიდები ნათელა, მარია, გოგუცა დოლიძეები, ბიძები ვანიჩკა, მოსე, ფაუსტი, კონსტანტინე ინწკირველები იუწყებიან
პატარა მარგალიტას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/V, ს. ბაღდადში (მახარაძე) 1676

პაპა ბესარიონ, ბებია ეკატერინე, ბიძა ანტონ, ბიცოლა ოლა, ქეთო, ნათელა ჯიქურაძეები იუწყებიან
ვასო იოსების-ძე კალატოზიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/V, 7½ ს. საბჭოს, 285. დაკრძალვა 6/V, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1672

რატიანი, ჭავჭანიძე, კოპალეიშვილი, სილაგაძე, თათუხაშვილი, ხუხუნი, ცინცაძე, ხვიჩია, გაბისონია, კობახიძე, ლალიაშვილი, ბაღდავაძე, ლომაია, ბერუჩიანი, თოდუა, ანანიაშვილი, ჭიჭინაძე იუწყებიან ქსენია გეგელიას დედის
მარიამის
გარდაცვალებას. 1677

კირილე ბუჭუს-ძე ჯაფარიძე შვილებით და შვილიშვილებით მწუხარებით იუწყება საყვარელი მეუღლის
ანა ჯაფარიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/V, ხიდისთავში (ჩოხატაური) 1658

საქ. მეღვინეობის რესპუბლიკური საცდელი სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სადგურის სპეციალისტს ტრიფონ ცაგარეიშვილს მისი მამის
კიმოთეს
გარდაცვალების გამო. 1657

დამწუხრებული მშობლები ნიკოლოზ და ვარო, ძმა ლადო თუთაშვილები იუწყებიან, რომ 6/V, გურჯაანში დანიშნულია
სოფიო ნიკოლოზის-ასულ თუთაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 1663

კანდელაკი, სურმავა, გაჩეჩილაძე, ქავჟარაძე, ცოფურაშვილი, კაკიტელაშვილი, ჩუტკერაშვილი, სარჯველაძე, მესხიშვილი, ამაშუკელი, კაზაკოვი, თვარაძე, ბასიაშვილი, კილურაძე იუწყებიან შალვა ჯაფარიძის მამის
სიმონის
გარდაცვალებას. 1666

დამწუხრებული დედა ეუჯინია, ძმა საშა, და ლიუბა იუწყებიან საყვარელი
გერონტი (ბელა) გრიგოლის-ძე ჟვანიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/V, 5 ს. ქალაქის პირველი საავადმყოფოდან სადგურზე. დაკრძალვა 7/V, ს. კულაშში. 1671

მეუღლე ტერეზი, რძალი ბაბინე, შვილები შალვა, სევერიანე, ბენია, ლუბა, ფაცია, ძმისწული თამარ იუწყებიან მათთვის საყვარელი
ჟოსე ივანეს-ძე კუკულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/V, ს. აკეთში. 1659

მეუღლე გაიანე, შვილები ტატიანა, აპოლონ, რძალი ნათელა კეშელავები, სიძე კაკო ხარატაშვილი, დისწული ქეთევან გეგელია იუწყებიან ძვირფასი
ალექსანდრე ანდროს-ძე კეშელავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გალში 6/V. 1660

დამწუხრებული შვილები გედეონი ცოლშვილით, მინადორა, ანეტა, ივდითი ქმარშვილით, რძალი ლიდა შვილებით იუწყებიან საყვარელ
სოლომონ გაბრიელის-ძე ჩხობაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/V, ს. ანაშაურში (ვანი) 1656

თბილისის ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველოს მრავალტირაჟიან გაზეთ „ბიუგელის“ რედაქცია და მუშკორები იუწყებიან ძველი მუშკორის
პეტრე ანდრიას-ძე მარგიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/V, გამოსვენება ტრამვაის, 8. 1679

ნინო და ივანე მაჭავარიანები, სოფიო სულხანიშვილი, ქეთევან ვაჩნაძე, თამარ ბზუერიშვილი იუწყებიან ძვირფასი სიძის
გიორგი ივანეს-ძე ფარსადანოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/V, 5 ნახ. ს. კლარა ცეტკინის, 23. კუკიის სასაფლაოზე. 1655

ექიმი ოლღა მიხეილის-ასული სულხანიშვილი - ფარსადანოვისა იუწყებს საყვარელი ქმრის
გიორგი ივანეს-ძე ფარსადანოვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/V, 5½ ს. კლარა ცეტკინის, 23, კუკიის სასაფლაოზე. 1655

დედა ჩიჩა, შვილები გივი, მაისა, ნაზიკო, ძმები ალიოშა, ჭიჭიკო, რძლები დარიკო, თამარ იუწყებიან, რომ 6/V, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
კოლია სარდიონის-ძე ნაკაიძის
სამოქ. პანაშვიდი. 1661

დამწუხრებული მეუღლე მაკრინე, შვილი გიორგი, რძლები თამარ, მატრონე, შვილიშვილი ნერიდა, ძმა სერაფიონ შეკლაშვილები იუწყებიან ძვირფასი
ნიკოლოზ შეკლაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/V, ს. გორისაში. 1662

პეტრე ნიკოლოზის-ძე და ვარვარა ოგანის ასული რაფაელოვები შვილებით იუწყებიან
ვერა კაზიმირის-ასულ მაჭავარიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/V, 8 ს. გამოსვენება 6/V, 5 ს. წილკანის, 6 ვაკის სასაფლაოზე. 1675

რედაქციისა და გამომცემლობის, მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის —3—57—61,—სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. წერილების -3—73—24. პ.-მგ მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 650